№ 5
ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 23-26 ნოემბერი | 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერჯერობით პრობლემები არ არის. მომავალში?

საქართველოს მოსახლეობისათვის პრესისა და ტელევიზიის წყალობით უკვე ცნობილია, რომ მიმდინარეობს სპეციალიზებული აუქციონები.

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ აქციათა პაკეტების მართვის უფლებით გადაცემის კომისიამ წარმოადგინა №1 სპეციალიზებული აუქციონის შემაჯამებელი ოქმი, რის საფუძველზეც სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ დაამტკიცა აუქციონის შედეგები. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის პირველ მოადგილეს **ემირ ჯულელს.**

- სამინისტრომ შეაჯამა პირველი სპეციალიზებული აუქციონის შედეგები. როგორ შეაფასებდით მას?

- პირველ აუქციონზე გამოტანილი იყო 16 საწარმოს აქციები. აღსანიშნავია, რომ შემოვიდა რეკორდული რაოდენობის თანხა. სულ 440 ათასი ლარი. ეს პირველი ნაბიჯებია სპეციალიზებული აუქციონების ჩატარების გზაზე და წარმატება ორმაგად სასიხარულოა.

- ეს იმ ფაქტმა ხომ არ გამოიწვია, რომ სამინისტრომ წინასწარ შეარჩია ის საწარმოები, რომლებზეც დიდი მოთხოვნა გარანტირებული იყო?

- მართალია, მიმზიდველი საწარმოების აქციები გამოვიტანეთ გასაყიდად, მაგრამ იმის ცალსახად განცხადება, რომ წარმატება მხოლოდ ამ ფაქტმა გამოიწვია, ალბათ, არ შეიძლება.

- სპეციალიზებული აუქციონი თუ მოახდენს გავლენას ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაზე?

- დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციის ფაზა უკვე ძალას იკრებს. გამოჩნდა ისეთი საწარმოები, უფრო სწორად, საწარმოთა ჯგუფი, რომელთა აქციებზე მოთხოვნა მნიშვნელოვანია და ჩანს, რომ მათი აქციები ინვესტორებისთვისაც მიმზიდველი იქნება.

- რა ტენდენციები შეინიშნება აქციების გაყიდვისას?

- რა თქმა უნდა, მიმზიდველი საწარმოების რიგებში არიან ისინი, რომლებიც ტრანსკავკასიურ (როგორც სატრანსპორტო, ასევე ნავთობსადენი) მაგისტრალთან არიან

(დასასრული მე-2 გვ.)

"პარლამენტმა "დრაკონული" კანონი მიიღო"

საბჭოთა ჯარში ნამსახურებ კაცს ძალიან კარგად მოეხსენება, რა საშინელებას წარმოადგენდა სადისციპლინო ნაწილში ("დისბატში") მოხვედრა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ მოხვედრილ ადამიანს სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გამწარებული ექნებოდა. უდიდეს პრობლემასთან იყო დაკავშირებული უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა, ხოლო კომუნისტურ პარტიაში შესვლა (ახლა ყველა ღმერთმა დაგიფაროთ) სანუკვარ ოცნებად დარჩებოდა. საბჭოთა არმიაში არსებული წესრიგი მსოფლიოში სამაგალითოდ იყო მიჩნეული და როგორც ეტყობა, ამას უმკაცრესი დასჯის მექანიზმი განაპირობებდა. ქართული ჯარი თავისი წესრიგით ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნის. როგორც ეტყობა, ეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც კარგად ესმით და ამის გამოსასწორებელ მექანიზმებს ეძებენ, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ ეფექტურადაც.

ამის ნათელი დადასტურებაა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საკომიტეტო მოსმენა, რომელიც 20 ნოემბერს პარლამენტში გაიმართა და რომელზეც განიხილეს კანონპროექტი "სადისციპლინო სამხედრო ნაწილის შესახებ".

ჟურნალისტები კომიტეტის თავმჯდომარეს რევაზ ადამიას პუნქტუალურ ადამიანად ვიცნობდით და ამიტომ ძალიან გაგვიკვირდა, როცა მოსმენა ოცი წუთის დაგვიანებით დაიწყო, თუმცა ამის მიზეზი ძალიან მალე გაირკვა. კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის დანარჩენ წევრებსა და ზოგიერთ დეპუტატს ელოდა. მაგრამ მომსვლელი არ ჩანდა და ბატონმა რეზომ სინანულნარევი სიამაყით განაცხადა: "საოცარია, მაგრამ საკომიტეტო მოსმენით კომიტეტის წევრებზე მეტად ჟურნალისტები ინტერესდებიანო".

ამ ფრაზამ ჟურნალისტებში გამოცოცხლება გამოიწვია. არადა, თავმჯდომარე მართალი იყო. კანონზე სამუშაოდ მისულ კომიტეტის წევრებსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს მასმედიის წარმომადგენლები ერთიორად აღემატებოდნენ.

ადამიამ ბოლომდე მაინც ვერ გაწირა კოლეგები და ნამუსი მოსწმინდა - უშიშროების დანაყოფები ფიცს სდებენ, ალბათ კომიტეტის ხალხი დეპუტატებთან ერთად იქ იმყოფებიანო.

რაც შეეხება უშუალოდ კანონპროექტს. რევაზ ადამიას თქმით, კანონპროექტის სხვადასხვა ვარიანტი მოცულობით საკმაოდ დიდი იყო და საბოლოოდ მნიშვნელოვნად შემცირდა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი.

პარლამენტმა მიიღო კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", სადაც არის ძალიან მკაცრი მოთხოვნები. ნებისმიერ კანონს,

(დასასრული მე-2 გვ.)

საფინანსო კორპორაცია საქართველოს საბანკო სფეროთი დაინტერესდა

საქართველოში იმყოფება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დელეგაცია, რომელსაც ბატონი რანკინი ხელმძღვანელობს.

ცნობისათვის: საქართველო აღნიშნულ კორპორაციაში ერთი წელია რაც გაწევრიანდა. აღნიშნული კორპორაცია მსოფლიო ბანკისაგან განსხვავებით მხოლოდ კერძო სექტორთან თანამშრომლობს. არ იღებს სამთავრობო გარანტიებს და მათ ინტერესებში კერძო კომპანიათა საქმიანობის ხელშეწყობა შედის. ეს კი სავსებით ბუნებრივია - სესხის დაბრუნების უპირველესი გარანტია კომპანიის ეფექტური მუშაობაა.

გასული წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ინვესტიციების სახით 3 მილიარდ დოლარზე მეტი დააბანდა. აქედან დიდი წილი სამხრეთ აზიის ქვეყნებზე მოდის.

დაახლოებით ათი წლის წინ ევროპაში კორპორაციის საქმიანობის

(დასასრული მე-2 გვ.)

მორიგი პრესის დღე

ოთხშაბათს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში პრეს-კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ტრადიციულად გურამ დიდბარიძე ხელმძღვანელობდა.

დამთავრდა განაცხადების მიღება II სპეციალიზებულ აუქციონზე. წინასწარი მონაცემებით განცხადებები შემოვიდა 7 სააქციო საზოგადოების აქციებზე. საერთო ჯამში რეალიზებულ იქნა 22968 აქცია და შემოვიდა 450000 დოლარზე მეტი ექვივალენტური თანხა ლარებში. გამორიცხული არ არის, რომ საბოლოოდ მონაცემების დაზუსტებამდე ეს თანხა გაიზრდება.

მიმდინარეობს განაცხადების მიღება III და IV სპეციალიზებულ აუქციონებზე, რომელზეც ძირითადად გამოდის პურპროდუქტების ობიექტები. დამტკიცდა 7 აუქციონის ნუსხა, რომელზედაც განაცხადების მიღება იწარმოებს 4-დან 20 დეკემბრამდე.

"მიწოდება"-"ჩაწოდების" საკითხმა დიდი აურზაური გამოიწვია

ეკონომიკური საბჭოს ბოლო სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმო დოკუმენტთა სრულყოფას და კიდევ ერთხელ შეახსენა მინისტრებს, რომ სერიოზულ დოკუმენტებზე მუშაობის კულტურა სხვა დონეზე უნდა განვითარდეს. ბევრს ალბათ ავიწყდება, რომ ნორმატიული დოკუმენტები მოსკოვიდან აღარ მოდის და მათდამი დამოკიდებულება ცოტათი მაინც უნდა შეიცვალოს.

სამწუხაროდ, აღნიშნულის განმეორება პრეზიდენტს მთავრობის ბოლო სხდომაზეც მოუხდა, როდესაც დავით იაკობიძემ დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მომზადებული კანონი წარმოადგინა. მართალია, კანონპროექტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ეკონომიკურ საბჭოზე განიხილეს, მაგრამ შენიშვნები მაინც დარჩა, რამაც პრეზიდენტის უკმაყოფილება გამოიწვია - ავტორებსა და შესაბამის სამსახურებს ყველა შენიშვნა დროზე უნდა გაერკვიათ, რადგან მთავრობის სხდომა "სავარჯიშო მოედანი" არ არის და მასზე დამუშავებული დოკუმენტები უნდა განიხილებოდეს.

ბაკურ გულუამ კი ამ კანონის მე-17 მუხლზე გაამახვილა ყურადღება, რომლის თანახმადაც "საქონლის მიწოდება, რომელიც წარმოადგენს საქონლის ექსპორტს დსთ-ის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, ნულოვანი განაკვეთით იბეგრება". მინისტრმა იაკობიძეს ქართული დაუწუნა და სიტყვა "მიწოდების" შეცვლა მოითხოვა, რადგან აღნიშნული გულუას ფეხბურთს, კერძოდ კი "ჩაწოდებას" აგონებს. სიტუაციის განმუხტვა სილაგაძემ სცადა და სიტყვა "განკარგვა" შესთავაზა, მაგრამ უშედეგოდ. იაკობიძემ ბოლომდე დაიცვა თავისი ნაშრომი.

მთავრობის ბოლო სხდომაზე მოწონებულ კანონთა შორის გახლავთ "რეკლამის შესახებ" მომზადებული პროექტი, რომელიც ეკონომიკის მინისტრმა განსახილველად უკვე მეორედ გამოიტანა. პირველად განხილვისას კამათი გამოიწვია მე-6 მუხლის მე-5 პუნქტმა, რომლითაც რეგლამენტირებულია რეკლამის განთავსების თავისებურებანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. კერძოდ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ტელეგადაცემებში სარეკლამო დროის განსაზღვრის საკითხმა, რის გამოც კანონპროექტი გადასამუშავებლად და შეს-

(დასასრული მე-3 გვ.)

ნომერში:



სააქციო საზოგადოება - პრობლემა, პერსპექტივა გვ.4

პანორამა გვ.6



"ითამაშე, ოღონდ მოიგე!" გვ.7

სპორტული კალეიდოსკოპი გვ.8

ნომერში:

ჯერჯერობით პრობლემები არ არის. მომავალში?

(დასასრული)

რაღაცით დაკავშირებულები. იგრძნობა დაინტერესება იმ საწარმოებზე, რომლებიც ამ დერეფანს მომსახურებას გაუწევს.

- სხვა საწარმოებით დაინტერესება არ იგრძნობა?

- არის საწარმოების დიდი ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია კვების მრეწველობასთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებასთან.

ბოლო აუქციონის შედეგები სწორედ ამისი ნათელი დადასტურებაა. მაგალითისათვის, დიდი მოთხოვნა იყო ქუთაისის "მინის ტარაზე", რომელიც, ბუნებრივია, კვების მრეწველობასთანაა დაკავშირებული. იგივე შეიძლება ითქვას ბორჯომის მინის ტარის ქარხანაზეც. თავიდან, როცა მისი აქციონირება მოვახდინეთ, დაინტერესება დიდი არ იყო. შემდეგ უცებ მოექცა ყურადღების ცენტრში.

- ადრე საქართველო მთელ საბჭოთა კავშირს აკმაყოფილებდა ჩაით და დიდი სიმძლავრეებიც არსებობდა.

- აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ ჩაის საწარმოების აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გაყიდულია. შეიძლება ითქვას, მომავალ წელს/ამ დარგში ექსპონენციალური ზრდაა მოსალოდნელი.

აუქციონის შედეგები ჩვენი ეკონომიკისათვის "რენდგენის სურათად" შეგვიძლია მივიჩნიოთ. აუქციონზე ვნახავთ, როგორი სპეციფიკის აქციები სარგებლობენ პოპულარობით და აქედან გამომდინარე, მრეწველობის ამა თუ იმ დარგში მოხდება გამოცოცხლება.

- მეორე აუქციონის შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ თქვენ, ბუნებრივია, ინფორმაცია გეწყებათ (თუ საიდუმლო არ არის).

- მეორე აუქციონის წინასწარი შედეგები უკვე ცნობილია. მალე საბოლოო შედეგებიც გვექნება. ერთი და ორი აუქციონით გლობალური სურათი, რა თქმა უნდა, არ შეიქმნება, მაგრამ რამდენიმე აუქციონის შემდეგ უკვე გარკვეული დასკვნების გაკეთება გახდება შესაძლებელი.

- და მაინც. პირველ ეტაპზე თქვენ მიმზიდველ საწარმოებს შეარჩევთ, მათი აქციების უმეტეს ნაწილს გაყიდით. შემდეგ დარჩება საწარმოები, რომლებზეც ერთ განაცხადსაც არ შემოიტანენ. ე.ი. ფაქტიურად მომდევნო აუქციონები ჩაიშლება.

- ასე თუ ისე, სიძნელეები მართლა გვექნება, მაგრამ სამინისტრო ამ საკითხზე მუშაობს.

- კონკრეტულად?

- შევიმუშავებთ გარკვეულ მექანიზმებს.

- უფრო კონკრეტულად?..

- ...

ესაუბრა

გიორგი ბოჭორიშვილი

საფინანსო კორპორაცია საქართველოს საბანკო სფეროთი დაინტერესდა

(დასასრული)

არეული მხოლოდ სამ ქვეყანაზე ვრცელდებოდა. ახლა მასში 24 სახელმწიფოა გაწერიანებული.

"საქართველოთი ჩვენი დაინტერესება მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ და პრივატიზების პროცესის სწრაფმა ტემპმა განაპირობა. გამოიკვეთა რამდენიმე სექტორი, რომელშიც ვისურვებდით ინვესტიციათა დაბანდებას. პირველ რიგში ეს ფინანსურ სფეროს ეხება, რადგან ევროპის ბევრ ქვეყანაში ერთობლივი ბანკები სწორედ ჩვენ შევქმენით, ისევე როგორც სალიზინგო კომპანიები. დავინტერესდებით აგრობიზნესით და ტურიზმით" - განაცხადა რანკინმა თემურ ბასილიასთან შეხვედრისას.

სტუმრის განმარტებით ახლანდელი ვიზიტის მიზანს კონკრეტული პროექტის განხორციელება წარმოადგენს. საუბარია ბორჯომის წყლის საკითხზე. კომპანია "ჯორჯიან გლასენდ მინერალ უოთარს" ქარხნების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება ესაჭიროება და კორპორაციის მიერ გამოყოფილი საწყისი ინვესტიცია 5 მლნ დოლარს შეადგენს. კორპორაციას განზრახული აქვს აღნიშნული თანხა მომავალში 20 მლნ დოლარამდე გაზარდოს. ეს გასაგებიცაა, რადგან კორპორაციის ხელმძღვანელობას, ალბათ, კარგად ესმის, რომ მარტო დსთ-ს ბაზრის ათვისება არ არის საკმარისი ისეთი პოპულარული წყლისთვის, როგორიც "ბორჯომია".

საჭიროა მსოფლიო ბაზარზე გასელა. მართალია, ამას დიდი ფული და დრო სჭირდება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოგების შედეგად მიღებული თანხები ჩადებულ ინვესტიციას ათეულობით დოლარს გადააჭარბებს.

დიანა დოლიძე

შეტანილია ცვლილებები

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში მიღებულია ბრძანება №3 და №4 სპეციალიზებული აუქციონების ნუსხებში ცვლილებათა დამტკიცების შესახებ, სადაც ნათქვამია:

ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით

1. შეტანილ იქნას ცვლილებები №3 და №4 სპეციალიზებული აუქციონების ნუსხებში:

2.1. სააქციო საზოგადოება "ახალციხის ნავთობპროდუქტი"-ს (№195) ამოღებული იქნას №3 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხიდან;

2.2 სააქციო საზოგადოება "კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატი"-ს (№949) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №4 სპეციალიზირებული აუქციონის ნუსხაში მითითებული 509000-სა უნდა იყოს 427401, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 18,71-სა უნდა იყოს 15,71, ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში ნაცვლად 509000-სა უნდა იყოს 427401, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 763500-სა უნდა იყოს 641101,5.

3. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ. გაბუნია):

3.1. 1996 წლის 23 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაზეთ "შესაკუთრე"-ში გამოქვეყნება;

3.2 სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიალური ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების ცვლილებების შესახებ ინფორმირება.

4. დაევალოს აუქციონების ჩამტარებელ კომისიას (მდივანი ბ-ნი ნ. დვალი) უზრუნველყოს სააქციო საზოგადოება "ახალციხის ნავთობპროდუქტი"-ს აქციების შესაძენად განაცხადების მიღების შეწყვეტა, ხოლო ფინანსების აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ბ-ნი ნ. მაისურაძე) უზრუნველყოს ამ სააქციო საზოგადოების აქციების შესაძენად აუქციონზე შემოსული თანხების (თუ ასეთი არსებობს) დაბრუნება, გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ე. ჯუღელს.

(დასასრული)

რომელიც შედის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად, თან უნდა ერთვოდეს ის საკანონმდებლო აქტი, კოდექსი თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელსაც განსახილველი კანონი რაიმე კუთხით ეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის განხილვა საერთოდ არ მოხდება. ეს ბუნებრივია, კანონის მომზადების პროცესში უდიდეს შრომასა და ენერგიას მოითხოვს. და რაც მთავარია, ამას უამრავი დრო სჭირდება.

დეპუტატების აბსოლუტურმა უმეტესობამ "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონი სიხარულით მიიღო, აქაოდა სამართლებრივ ბაზას ვაწესრიგებთო. მაგრამ არის ერთი "მცირე", ძალიან "უმნიშვნელო" ფაქტორიც - საქმის მკეთებელ აბსოლუტურ უმცირესობას ეს კანონი ნორმალური და ეფექტური მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

ბატონმა ადამიამ ეს ფაქტი თავის მხრივ კიდევ ერთხელ დაადასტურა და განაცხადა - მაშინ პარლამენტმა მიიღო "დრაკონული კანონი".

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ძველი კანონიდან ამოვარდა რეჟიმული დებულებები, სადაც ბევრი მუხლი იყო, რომელიც სადისციპლინო ნაწილის დაწერილებით მოთხოვნას ეხებოდა. წარმოიდგინეთ მასში ღობის სიმაღლეც კი იყო შეტანილი. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. კანონპროექტში წერია, რომ სამხედრო მოსამსახურის დასჯა და სადისციპლინო ნაწილში გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. "ეს ხომ ელემენტარული მეშმარიტებაა და კანონში მითითება ზედმეტად მეჩვენება", - განაცხადა ადამიამ. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა კი დაჟინებით მოითხოვა ამ მუხლის დატოვება, რადგან ნაწილის მეთაურებს თურმე მიაჩნიათ, რომ უნდა ჰქონდეთ ჩინით მათზე უმცროსების დასჯის უფლება. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე ვერ იქნა მიღწეული, თუმცა ბატონ რეზოს იქვე გაუჩნდა სურვილი - "იქნებ ასეთი წესი კომიტეტში შემოგვეღო".

კანონპროექტის განხილვის ბოლოს ბატონმა ადამიამ კიდევ ერთხელ სთხოვა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს გაეთვალისწინებინათ "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მოთხოვნა: "წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი კანონი ბათილად ჩაითვლება და ამას ყურადღების მიქცევა ხჭირდება".

საკომიტეტო მოსმენაზე დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოვიდა მიხეილ უკლება, რომელმაც მთელი რიგი საინტერესო ინფორმაციები წარმოადგინა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სამხედრო ქონების თვალსაზრისით შეიქმნა კომისია, რომელსაც სწორედ ბატონი მიხეილი ხელმძღვანელობს. კომისიაში მუშაობენ წარმომადგენლები თავდაცვის სამინისტროდან, სასაზღვრო ჯარებიდან, უშიშროების სამსახურიდან, იუსტიციის სამინისტროდან და ა.შ.

ბატონი უკლებას განცხადებით:

"ჩვენ უკვე ხუთი შეხვედრა ჩავატარეთ და მთელ რიგ უწყებებს მიეცა გარკვეული დავალებები. კერძოდ, პრივატიზების სამინისტრომ დაიწყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ქართველი მესაზღვრეების ქონების აღრიცხვა. რუსეთის მხარეს ხელშეკრულების თანახმად იჯარით ჰქონდა აღებული ჩვენი უძრავი ქონების ნაწილი, ძირითადად შენობა-ნაგებობები, სადაც მათი ჯარები იმყოფება. რუსებს ეთხოვათ დააჯამონ საიჯარო თანხა, რადგან ეს არის უცხოეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული და ასე ერთი ხელის დაკვრით ვერ მოვთხოვთ, სასწრაფოდ გადაიხადეთ თანხაო. ისინი ჩვენთან მოავლენენ ექსპერტებს, რომლებიც ქართულ ჯგუფთან ერთად იმ-

"პარლამენტმა "დრაკონული" კანონი მიიღო"

უშავებენ აღნიშნულ საკითხზე.

დავალება მივეცით გამგეობებს, რათა მათ წარმოადგინონ ინფორმაცია რაიონის ტერიტორიაზე რა სამხედრო ობიექტი არსებობს. ვცდილობთ გვქონდეს სრული სურათი ადგილობრივი ხელისუფლების, რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროების თვალსაზრისით.

როდესაც 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენ ავტომატურად გავხდით საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. მათ შორის შეიარაღებული ძალებისაც. შესაბამისად, აქედან გვერგებოდა წილი. უძრავი ქონება თავისთავად ჩვენს ტერიტორიაზეა და აქ არაფერია სადავო. უნდა მიგვეღო წილი მოძრავი ქონებიდანაც (საბრძოლო ტექნიკა, ტფილწამალი და ა.შ.).

ეს ფოთის პორტში განლაგებულ გემებს და სხვადასხვა აეროპორტში არსებულ თვითმფრინავებსაც შეეხება.

სამწუხაროდ, ეს ტექნიკა თითქმის მთლიანად გატანილია და ჩვენი მოთხოვნა, რომ გარკვეული ნაწილი უკან დაბრუნდეს, ლოგიკურია.

რაც შეეხება იჯარის თანხას. საკამათო არაფერია იმაში, რომ რუსეთის მხარემ ფული უნდა გადაიხადოს. მთელ მსოფლიოში ასეა მიღებული. თუ გინდა უძრავ-მოძრავი ქონებით სარგებლობა, ამაში ფული უნდა გადაიხადო. სხვა საკითხია, როგორ დაიფარება. ეს ვალი - სავსებით შესაძლებელია, რომ რუსებმა ანაზღაურება მოახდინონ სამხედრო ტექნიკის მოწოდებით ან თუნდაც ჩვენი კადრების მომზადებით. ამას მუშაობა და თანამშრომლობა სჭირდება. ეს პროცესი დაწყებულია.

გარდა ამისა, მესაზღვრეებთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად რუსებს უნდა მოემზადებინათ პროექტი და მომზადებინათ საზღვრის ეტაპობრივი გადმოცემა. საქართველო-თურქეთის საზღვარზე, სადაც რუსი მესაზღვრეები დგანან, უნდა შესულიყვნენ ქართველებიც. გარკვეული დროის შემდეგ კი მთლიანად ჩვენ გავაკონტროლებთ.

სხვადასხვა მიზეზის გამო ეს საკითხი ჭიანურდება. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქართველი მესაზღვრეები მოითხოვენ საზღვრის გადატანას. [illegible] - ... [illegible] - ... [illegible] - ...

(დასასრული)

ათანხმებლად დაუბრუნდა ეკონომიკის სამინისტროს.

ხელმეორე გადამუშავებისას მოიძებნა ოპტიმალური ვარიანტი და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "გადაცემებში რეკლამა არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15%-ს ნაცვლად თავდაპირველ ვარიანტში არსებული 25%-ისა".

კანონპროექტმა უნდა დაარეგულიროს სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების პროცესში წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობები.

უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტი განიხილავს საბაჟო კოდექსს, რომლის პროექტი მოიწონეს ორიოდე დღის წინ ჩატარებულ მთავრობის სხდომაზე. მანამდე კი აღნიშნული კოდექსი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თენგიზ აბულაძემ წარუდგინა პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო ეკონომიკურ საბჭოს.



პროექტი, რომელიც 14 კარისაგან, 64 თავისაგან და 424 მუხლისაგან შედგება განსხვავდება მოქმედი საბაჟო კოდექსისაგან - ახალი პროექტით მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბაჟო ორგანოების ფუნქციები. განსაკუთრებით ეს ეხება სამართალდამცავ სფეროს. ასევე სიახლეს წარმოადგენს საბაჟო ორგანოების მიერ იმ ავალუტო ოპერაციებისადმი კონტროლის განხორციელება, რომლებიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტით ყველა პირს ენიჭება უფლება საქართველოში შემოიტანოს და ასევე გაიტანოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. კერძოდ, მითითებულია, რომ "არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ან შეეზღუდოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით".

"მიწოდება"-"ჩაწოდების" საკითხმა დიდი აურზაური გამოიწვია

აბულაძე თვლის, რომ სწორედ საკანონმდებლო აქტით უნდა იწას დაცული ყველა პირის უფლება და საკანონმდებლო აქტით უნდა აიკრძალოს მათ საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევა, მითუმეტეს მაშინ, თუ ისინი კანონის მოთხოვნებს იცავენ.

მისივე განცხადებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო გადასახადის ამოღების სამართლებრივი რეგულირება. საქონლის გადაადგილებისას, კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირები იხდიან საბაჟო გადასახადს, დღგ-ს, აქციზს, საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისა და მათი მოქმედების განახლების, საბაჟო მომსახურებაზე, საბაჟო პროცედურებზე, საქონლის შენახვაზე, საქონლის საბაჟო გაცილებაზე მოსაკრებლებს, ინფორმირებისა და კონსულტირების, ასევე წინაწარ გადწყვეტილების მიღების და საბაჟო აუქციონებში მონაწილეობის საფასურს. პროექტი გამოაცხადებს საბაჟო გადასახადის თითოეულ სახეობის და მათი ამოღების წესს, ითვალისწინებს საბაჟო გადასახდელების გადახდის უზრუნველყოფისა და არგადახდის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ღონისძიებას.

საბაჟო რეგულირების მიზნით პროექტი ითვალისწინებს საბაჟო რეჟიმის 15 სახეობას. აქედან - 4 მოქმედი საბაჟო კოდექსით რეგულირდება. აბულაძის განცხადებით მათი შემოღება მიზანშეწონილია, რადგან ამ გზით შესაძლებელია საგარეოეკონომიკური ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა. ეს რეჟიმებია - რეიმპორტი, საბაჟო საწყობები, უბაჟო ვაჭრობის მაღაზია, თავისუფალი საბაჟო ზონა, თავისუფალი საწყობი და რეექსპორტი.

"მესაკუთრე": *ბატონო ზურაბ! 5 თვე გავიდა ინსპექციის შექმნის დღიდან. ამ ხნის განმავლობაში თქვენმა სამსახურმა რა მუშაობა გასწია?*

ზ.ბ.: სამინისტროს მიერ დამტკიცებულ იქნა ჩვენი დებულება, რომელიც მხოლოდ მინისტრის დავალებებით და სამუშაო გეგმით განსაზღვრული საკითხების შესწავლას და გაანალიზებას ითვალისწინებს. ჩვენს მიერ უკვე შესწავლილ იქნა პრეზიდენტის 1996 წლის 30 აპირილის №299 ბრძანებულების შესრულება. ფართოა იმ მეტად მნიშვნელოვან პრობლემათა წრე, რომელთან დაკავშირებით სამინისტროში მიღებულია ათზე მეტი ბრძანება, რომლებიც ითვალისწინებენ მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს. უკვე გამოცხადებულ ხუთ აუქციონზე გასატანად განსაზღვრულია ასზე მეტი სააქციო საზოგადოება. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ მიმდინარეობს აუქციონი, აუცილებელია გვქონდეს ოპერატიული შედეგები - თუ რა გაიყიდა, რა დარჩა სახელმწიფოს, რა - მესაკუთრეს და როგორი უნდა იყოს შემდგომი მართვის პროცესი.

კომისიის მიერ გაანალიზებულ იქნა, თუ როგორ შესრულდა 1996 წლის 1 ივლისამდე საქართველოში პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით პრეზიდენტის ბრძანებულებები, რომელთა რიცხვი 15-ს აღემატება, აგრეთვე მინისტრის ბრძანებები, საკითხები, რომლებიც განხილულ იქნება კოლეგიაზე. მთლიანობაში დასახული ღონისძიებების შესასრულებლად მეტად შრომატევადი სამუშაოებია ჩატარებული, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს მიმდინარე წლის 11 სექტემბერს მთავრობის სხდომაზე განხილულ ანგარიშში. ამ საკითხების შესწავლამ ცხადყო, რომ ცალკეულ პრობლემათა მიხედვით დადგენილებების შესრულების ამსახველი საბოლოო ინფორმაციის სისტემატიზაციაა საჭირო, რადგანაც, ყოველ ცალკეულ საკითხს გარკვეული ვადები ჰქონდა. მინისტრის ბრძანებით შესაბამის სამმართველოებს მიეცათ დავალება 15 დეკემბრამდე მოიყვანონ სისტემაში ყველა საკითხი. ამასთანავე, მინისტრის დავალებით შესასწავლად მიღებული იქნა 25 საქმე განცხადების ან საჩივრის სახით, რომელთაგანაც 20 უკვე შესრულებულია, 5 კი დასრულების პროცესშია. შინაარსობრივად ისინი შემდეგი სახით არიან წარმოჩენილნი: საწარმოს თანამშრომელთა უთანხმოებას ადგილი ჰქონდა 8 შემთხვევაში. რას ნიშნავს თანამშრომელთა უთანხმოება? დამთავრდა პრივატიზაცია და პიროვნება აცხადებს, რომ მას არ მიუღია მასში მონაწილეობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს პიროვნება არ არის შეყვანილი ამხანაგობაში, მას არ მიუღია კრებაში მონაწილეობა, ერთი სიტყვით, ადგილზე მოუგვარებელია ორგანიზაციული საკითხები. ადგილი ჰქონდა აქციონირების პროცესში საწესდებო კაპიტალის არასწორ შეფასებას, რაც მოხდა, მაგალითად, ახმეტის ღვინის ქარხანაში, ასეთი იყო 3 საკითხი. გარდა ამისა, პრივატიზებასთან დაკავშირებით, ვთქვათ, პროცედურა იყო დარღვეული. ასეთი 8 საკითხი იყო. შემოწმების შედეგებზე 2 შემთხვევაში მინისტრის ბრძანებით საქმე გადაეცა პროკურატურას, ერთ შემთხვევაში კი - საგამომძიებლო ორგანოს. უნდა ვთქვა, რომ 15 შემთხვევაში დაცულია მესაკუთრის ინტერესები.

«ყოველთვის ვიცავთ მესაკუთრის ინტერესებს»

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა კონტროლის ინსპექციის უფროსს ზურაბ ბახტაძეს, რომელიც პირველად მონაწილეობდა სამინისტროს ტრადიციულ პრეს-კონფერენციაში. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

"მ": *იყო თუ არა ეს პრეტენზიები სამართლიანი?*

ზ.ბ.: მაგალითად, "ოცნება-95"-ის თანამშრომლები მოითხოვდნენ შედეგების გადახედვას. მცირე შეცდომები მართლა იყო დაშვებული, თუმცა დაცული იყო მესაკუთრის უფლებები. ამდენად, გაუქმებამდე საქმე არ მივიდა და შედეგებიც განხილულ იქნა აქციონერთა კრებაზე. მეორე მაგალითია რესტორანი "მარაბდა", რომლის საქმეც პროკურატურას გადაეცა. აქ სამმა პიროვნებამ შემოიტანა საჩივარი, რომ მათ არ მიუღიათ პრივატიზებაში მონაწილეობა. საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამხანაგობაში შეყვანილ იქნა რამდენიმე პიროვნება, ერთ-ერთი იურიდიული პირი. აქ პრივატიზება მართებულადაა ჩატარებული, თუმცა გამოვლინდა, რომ ობიექტი შეფასებული უნდა ყოფილიყო უფრო ძვირად, მაგრამ გავითვალისწინეთ ის, რომ ეს ობიექტი ფაქტიურად გაჩანაგებული იყო და მესაკუთრემ (შ.პ.ს. "კოკა-კოლა" "კავკასიონმა") ჩატარა დიდი მოცულობის აღდგენითი სამუშაოები, საწარმო შევუნარჩუნეთ მფლობელს. თუმცა საქმე მაინც გადაეცა პროკურატურას იმის დასადგენად, თუ რატომაა შეფასებული ეს საწარმო შედარებით იაფად, რატომ არ მიუღია მონაწილეობა პრივატიზებაში ამ 3 პირს და სხვა. წინასწარ გადაწყდა, რომ ზემოაღნიშნულ სამ პიროვნებას უფლება მიეცათ შეისყიდონ აქციების გარკვეული რაოდენობა.

მსგავსი სურათია მე-3 სტამბაშიც, რომელიც საკონკურსო წესით გაიყიდა და პროტესტი გაწარმო. არის მეორე მხარეც - ყოფილი მუშაკები. ამდენად, ეს საქმეც გადაეცა პროკურატურას. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებულია რეალური ფართის ნახევარი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იყიდებოდა მთლიანად სტამბა და არა მარტო ფართი. გამოსავალი კი ასეთია: ჩვენ ვურჩევთ მესაკუთრეს, რომ მან იმ თანამშრომლებს მონაწილეობა მიაღებინოს დარჩენილი ფართის გამოსყიდვაში.

"მ": *საკითხების ასეთი ფართო წრის შესწავლის პროცესში თქვენ აუცილებლად მიაქცევდით ყურადღებას პრივატიზებული საწარმოების საქმიანობას. მოქმედებენ თუ არა ისინი და რამდენად ეფექტიანია მათი საქმიანობა?*

ზ.ბ.: დიახ, გავეცანით საწარმოების საქმიანობას ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, მცხეთაში, თბილისში, ზესტაფონში. შევიმუშავეთ ფორმა, რომლის მიხედვით ტერიტორიულმა სამსახურებმა წარმოგვიდგინეს მონაცემები, რამაც საბოლოოდ ასეთნაირი სახე მიიღო: ამ ქალაქებში დაფიქსირებულია 297 უმოქმედო ობიექტი. აქედან კონკურსის წესით გაყიდულია 68, პირდაპირი მიყიდვის წესით - 101, აუქციონის წესით - 73, იჯარა-გამოსყიდვის წესით - 8 და აუქციონირებულია - 47 ობიექტი. უმოქმედობის მიზეზია ზოგან სარემონტო სამუშაოები, ზოგან - ენერგოკრიზისი, ზოგან კი ნედლეულის უქონლობა, თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად გაუმართლებლად მიმაჩნია ასეთი სიტუაცია, მითუმეტეს, რომ იგი ეწინააღმდეგება პრივატიზაციის პრინციპებს და დანიშნულებას. პიროვნება იმიტომ ხდება მესაკუთრე, რომ ყველა ეს დაბრკოლება დასძლიოს, მითუმეტეს, რომ ყველა ობიექტი არის მცირე პრივატიზაციის "პროდუქტი". ობიექტურ მიზეზების გათვალისწინებით ეს საკითხი არ ქცეულა მკაცრი მსჯელობის საგნად. მოკვლეული მასალა სისტემაში მოვიყვანეთ და მინისტრის ხელმოწერილი ბარათი გაკუგზავნეთ ადგილობრივ ტერიტორიულ ორგანოებს, რათა მათ უფრო მეტი ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ მესაკუთრეებმა უფრო შედეგიანად იშრომონ და დროულად მოაგვარონ ობიექტის ნორმალურად ფუნქციონირების პრობლემები. მინისტრი ავალებს მათ უმოქმედო პრივატიზებული ობიექტების მიმართ გამოიყენონ სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულება და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ივნისის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით მინიჭებული უფლებები. ამასთან უზრუნველყონ სამინისტროს 1996 წლის 24 სექტემბრის ბრძანების I პუნქტის გათვალისწინებული დავალების შესრულება.

"მ": *რა ღონისძიებების გატარება შეიძლება ამ უმოქმედო ობიექტების მიმართ?*

ზ.ბ.: პრივატიზების დროს გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებულია ესა თუ ის პირობა. მაგალითად, აქციონირების შემთხვევაში სამუშაო ადგილების შენარჩუნება, კონკურსის ან პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაშიც ასეთივე პირობაა. ამ პირობის დაუცველობისას არსებობს 10% ჯარიმის სანქცია, 6 თვის შემდეგ კვლავ ასეთი ჯარიმა, შემდეგ კი მოხდება რეპრივატიზაცია. იანვრიდან ამოქმედდება გაკოტრების კანონი. სასამართლოები მიიღებენ გადაწყვეტილებას და ბევრი ობიექტი, რომელიც არ ამოქმედდა, ლიკვიდირებული იქნება. მსხვილ საწარმოებზე და სააქციო საზოგადოებებზე მოხდება განხილვა, შესძლებს თუ არა ეს საწარმო გარკვეული ბიზნეს-გეგმებით მოქმედებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაინიშნოს მენეჯერი, მიეყიდოს სხვას და ა.შ. ეს უნდა გაითვითცნობიეროს თითოეულმა მესაკუთრემ. ოღონდ მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ კონტროლის ინსპექცია არ არის შექმნილი ობიექტების შესამოწმებლად და სანქციების გასატარებლად. კონტროლის ინსპექცია მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შევიდეს ამა თუ იმ საწარმოში, თუ იქ რაიმე კონკრეტული სიტუაციაა. დანარჩენ შემთხვევაში არამართებულად მიმაჩნია საწარმოს უსაფუძვლო რევიზია. ამიტომაც ჯერჯერობით გამომაფხიზლებელი ფუნქციის შესრულება გვიწევს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტიც: პრეზიდენტის 1996 წლის 30 ოქტომბრის №893 ბრძანებულების თანახმად, სამინისტროს გაუფართოვდა ფუნქციები. ადრე არსებული სამოავრობო კომისიის მისიას ახლა სამინისტრო ასრულებს.

"მ": *ბ-ნო ზურაბ! როგორც კი პრივატიზება დაიწყო და გახდა პრივატიზებული ობიექტები, ძალიან გააქტიურდნენ მაკონტროლებელი ორგანოები. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე საწარმო წელიწადში სამ-ოთხჯერ მოწმდება. თქვენ რა მონაწილეობას ღებულობთ მათში?*

ზ.ბ.: ამჟამად თბილისის დეპარტამენტს, მის ტერიტორიულ ორგანოებს ამოწმებს კონტროლის პალატა. ჩვენ გვთხოვეს მონაწილეობა. ინსპექციის სამი თანამშრომელი ჩავრთეთ კომისიაში. რაც შეეხება შემოწმების სიხშირეს, ეს მიზანშეწონილი არ არის. საერთოდ კი არსებობს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომ მაკონტროლებელი ორგანოების მიერ პრივატიზებული ობიექტების შემოწმება უნდა მოხდეს ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით. მიუხედავად ამისა, არის ინფორმაცია, რომ ეს წესი ირღვევა.

"მ": *ალბათ, არც ის ივარგებს, რომ ობიექტები ყურადღების მიღმა დარჩნენ.*

ზ.ბ.: ცხადია, არა, მაგრამ არსებობს საგადასახადო ინსპექცია, რომელსაც ზედამხედველობისა და კონტროლის მდიდარი საშუალება აქვს.

გარდა ამისა, სამინისტრო ყურადღებით ადევნებს თვალს პრივატიზებული ობიექტების, სააქციო საზოგადოებების საქმიანობას, რომლებიც ვალდებულნი არიან პირველი კვარტლის დამთავრებისთანავე სამინისტროს წარმოუდგინონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრული ფორმის მიხედვით, სადაც სრულად აისახება მათი საქმიანობა, მათ შორის მოგების შემთხვევაში დივიდენდების განაწილება და ა.შ.

ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს ვიყოთ ყოველგვარი საქმის კურსში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებები გავატაროთ, უფრო სწორად, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით უზრუნველვყოთ მესაკუთრის უფლებების ხელშეუხებლობა.

ინფორმაცია საქართველო

პლებისციტს მხარი დაუჭირეს

საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა ი. კოროტჩენიამ, რომელიც წერს: "მხარს ვუჭერ საერთაშორისო ორგანიზაციათა პოზიციას, საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა სახელმწიფოთა პოზიციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან განდევნილ და ლტოლვილ ამომრჩეველთა საყოველთაო პლებისციტის დანიშვნისა და მოწყობის შესახებ."

აღმასრულებელი მდივანი იმედს გამოთქვამს, რომ "მაინც გაიმარჯვებს სინამდვილის რეალური გაცნობიერება და აფხაზი ხალხი გამოავლენს საჭირონებას უარი თქვას სეპარატისტული რეჟიმის მიერ თავსმოხვეულ არჩევნებზე".

არჩევნები კი ხვალისთვის არის დანიშნული

ციტრუსებს გაიტანენ

რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის განკარგულებით აფხაზ სეპარატისტებს ნება მიეცათ აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთში გაიტანონ მანდარინის, ფორთოხლის, თხილის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს უკვე პრაქტიკულად აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკადაზე უარის თქმაა.

ციტრუსების გატანა თავისი ნების გატანასაც უნდა ნიშნავდეს, მითუმეტეს რომ გადაწყვეტილება მიღებულია სეპარატისტების მიერ დანიშნული არჩევნების წინ.

კომერციული ბანკების დიდსულოვანი გადაწყვეტილება

ამ დღეებში საქართველოს კომერციულმა ბანკებმა გააკეთეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია: "რამდენადაც...კომერციულ ბანკებს, რომელთა კაპიტალში უკვე ჩაიდო უცხოური ინვესტიცია, გვინარჩუნდება საგადასახადო შეღავათები, რაც გაუმართლებელ უპირატესობას გვანიჭებს სხვა საბანკო დაწესებულებათა მიმართ. ვაცნობიერებთ რა ჯანსაღი კონკურენციის მნიშვნელობას ქვეყნის საბანკო სისტემისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის და საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის უმოკლეს ვადაში გადალახვის სასიცოცხლო აუცილებლობას, ჩვენ, საქართველოს კომერციული ბანკები, რომელთა კაპიტალშიც უცხოელი ინვესტორები მონაწილეობენ, ვაცხადებთ, რომ ვიწყებთ მოლაპარაკებას ჩვენს პარტნიორებთან, რათა კაპიტალის რეპატრიაციის გარეშე მოხდეს ნებაყოფლობით უარის თქმა ჩვენთვის მონიჭებულ შეღავათებზე".

სააქციო საზოგადოება — პრობლემა, პერსპექტივა

თუ მოვინდომებთ, კარგად გაგვახსენდება, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ არამხოლოდ საბჭოთა წარმოების სფერო იყო სერიოზულად გატაცებული გიგანტომანიით. ეს ის დროა, როცა გიგანტური მშენებლობებისა არ იყოს, ჩვენში ერთგვარ მოდად იქცა საწარმოო თუ სამეცნიერო-საწარმოო გიგანტთა შექმნა, მიუხედავად იმისა, ახერხებდნენ თუ არა მათ ჯეროვან მართვას სახელმწიფო სტრუქტურებში. მაგრამ უახლოესი წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მონოპოლიზმისა და მასშტაბურობის სტანდარტიზებას მით უფრო მრეწველობაში დიდი პერსპექტივები არც შეიძლებოდა ჰქონოდა. სახელმწიფომ - თავად უდიდესმა მონოპოლისტმა - ხელოვნურად შექმნილი ამ პრობლემის გადაჭრა შედარებით "წვრილ" მონოპოლიათა დაშლით დაიწყო. ეს იყო წარმოების მართვის თვალსაზრისით საკმაოდ კეთილგონივრული პროცესი. ასე, არცთუ იოლი გზით მივეახლეთ იმხანად მსოფლიო ბიზნესში უკვე ანბანურადქცეულ ჭეშმარიტებას, რომ ცივილიზებული ქვეყნის ეკონომიკის დინამიკის უზრუნველყოფა თანამედროვე პირობებში მხოლოდ წარმოების მცირე და საშუალო ფორმების პრიორიტეტული განვითარებით შეიძლება.

თბილისის საწარმოო გაერთიანება "ჩარხმშენებელი" ერთ-ერთი უძლიერესი იყო საკავშირო დაქვემდებარების ჩვენებურ ობიექტთა შორის. ეს ნიშნავს, რომ მის მაღალ პროდუქტიულობას და რენტაბელობას წყალი ჩვენზე უფრო დიდ წისქვილზე უსხია. მისი სეხნია სააქციო საზოგადოება ძირითადი ფონდებისა და წარმოების მოცულობით თავის წინაპარს აჩრდილადაც არ გამოადგება. მით უფრო, რომ სსრკ ჩარხმშენებლობის სამინისტროს ამ ხუთი წლისწინანდელი ბრძანებით, იგი ყოფილი საწარმოო გაერთიანების ერთ-ერთ, თუმცა არცთუ რიგით ობიექტადაა გარდაქმნილი და თავის ექვს განაყოფთანაც ძირითადად საჯარო ხელშეკრულებით გაპირობებულ სამეურნეო ანგარიშვალდებულებას ინარჩუნებს. ეს საწარმოებია: პროგრამული მართვის ქარხანა "დია", "ჩარხი-ხაზი", საინჟინრო-საწარმოო ფირმა "ვაზნა", საკონსტრუქტორო "ტექნიკური ბიურო", სარემონტო-სამშენებლო სამმართველო და სავაჭრო ცენტრი "ჩარხმშენებელი".

ამ რეორგანიზებამ ფაქტიურად დაასწრო ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების რეალურ რღვევას. ანუ დროს, როცა ჩვენში წარმოების სფეროსთვის მართლა არავის ეცალა. ამას მოჰყვა პერიოდი, როცა მისი რეალური ამოქმედებით ნამდვილად არავინ იყო დაინტერესებული. ეს ფსიქოლოგიური ინერციები დღემდე საგრძნობია. სააქციო საზოგადოებებადქცეული და ვერქცეული წარმოებები აქამდეც იჩენენ უგზობას, როგორც თავიანთ სამეურნეო დამოუკიდებლობაში, ასევე სხვადასხვა დონის ბიუროკრატთა მათ მიმართ დამოკიდებულებაში. განსაკუთრებით დაითრგუნა წლების მანძილზე ისეც დოტაციურად მიჩნეული ჩვენი მძიმე მრეწველობა, მით უფრო, რომ თავისი ძირითადი ფონდების თვალშისაცემად მაღალი ღირებულების ფონზე ფაქტიურად მიზერული ფონდუკუგებით იგი აშკარად ჩამორჩება მსუბუქი მრეწველობის ფონდუკუგებას.

სააქციო საზოგადოება "ჩარხმშენებლის" დღევანდელი პრობლემები ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენისაც ჯერაც ისევ მის კორპუსებს შეფარებული და გაუსაღებელი, თუმცა კვლავაც ევროსტანდარტების დონეზე დასანახი მისივე პროდუქცია. რეალიზებაზე ზრუნვა ფაქტიურად ამ გაზაფხულზე დაიწყეს, რაც ახალი გენერალური დირექტორი დაენიშნათ. ნოდარ ჩხოლარია აქ შინაური კაცია. ბარე 16 წელი იმუშავა საამქროს უფროსად. ასე რომ, მოულოდნელსა და პროფესიონალურად დაუძლეველს ვერაფერს დაახვედრებდნენ. ვერც დაახვედრეს. უსიამოვნო სიურპრიზადაც კი არ მიუჩნევიათ ერთ დროს მუშა-სპეციალისტებით განთქმულ წარმოებაში ინერციით შემორჩენილი ის 203 თანამშრომელი (მათგან 150 ინჟინერ-ტექნიკური და დამხმარე პერსონალია). მუშაობის პირველივე დღეებიდან დაიწყო მათ დაბრუნებაზე ზრუნვა. 142 დაიბრუნა, სულ ჩარხის მუშები. ხელდახელ გამოიყვანა სავაჭრო ჯიხურებიდან. ასე დაიწყო... მოისინჯა გაწყვეტილი სამეურნეო კავშირები. შეუდგნენ ამ ბოლო ოთხ-ექვს წელში ჩაწოლილი პროდუქციის რეალიზებას: ვის მოუბოდიშეს, ვის შეეკამათნენ... პირველ ჯერზე საგრძნობლად დაუთმეს მათი უნებური უპირობით წინა წლებში განაწყენებულებსაც. უბრალო მაგალითი: 1992 წელს პოლონეთში ნისიად შეიძინეს მაკომპლექტებელი დეტალები. ვალი აქამდე მოჰყვათ. სააქციო საზოგადოების ახალმა ხელმძღვანელობამ ხელის ერთი დაკვრით გადაჭრა გადასაჭრელი. მით უფრო, რომ ეს პარტნიორული უპირობა ლამის უკვე სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის რანგში იყო აფეთქებული. ვალი საგანგებოდ მათთვის დამზადებული 10 ჩარხით დაუბრუნეს და ახალ საქმიან გარიგებაზეც კი გამოიწვიეს გულმობრუნებული პოლონელი პარტნიორები.

ასე რომ, ამჟამად საწარმოში არსებულ პრობლემათა კვალობაზე განვლილი ხუთი თვის წარმატებებიც სანიმუშოა. ააწყეს და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში გაყიდეს 9 ახალთახალი ჩარხი, 6 ამას წინათ თურქებმა შეიძინეს, წინასწარი მოლაპარაკებისამებრ, 6-საც წლის ბოლომდე ელიან. ეს ნიშნავს, რომ ხვალ-ზეგ მარტო მოკავშირე რესპუბლიკები კი არა, მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში მიმოფანტული თავისი ტრადიციული მომხმარებელიც კი შეიძლება დაიბრუნოს "ჩარხმშენებლის" პროდუქციამ. ეს ფელაფერი მომავლის საქმეა, ანუ ოპტიმიზმის საქმე. იმ თვისებისა, არამარტო ახალგაზრდული ასაკის გამო რომ მოსჭარბებია კიდეც წარმოების ახლანდელ ხელმძღვანელს, რომელიც უკვე დამდეგი წლის შეკვეთების შესწავლა-შეთანხმებაშია. წელიწადში 100 ჩარხის (საწარმოო გაერთიანების პირობებში 150-ს ამზადებდნენ) გამოშვებასაც ამ კონკრეტულ გათვლათა საფუძველზე ფიქრობს. მით უფრო, რომ საამისო გარანტიები არსებობს, თუნდაც წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და მისი საინჟინრო-ინტელექტუალური პოტენციალის სახით. კიდევ რამდენიმე ნიუანსი: სააქციო საზოგადოების თავკაცობამ იზრუნა წარმოების მართვის სისტემის გამარტივებისათვის. წარმოება განთავისუფლდა საამქროთა მრავალრიცხოვნების "ტრადიციისაგან" და მხოლოდ ორი საწარმოო კორპუსით დაკმაყოფილდა. დღევანდელი პირობებისთვის მისაღებად გადაიჭრა კოლექტივის შრომის ანაზღაურების საკითხიც. 345 კაცამდე გაზრდილი წარმოების სახელფასო ფონდი უკვე 13 ათასი ლარია (203 მომუშავეზე იგი სულ ცოტა ხნის წინათ 1800 ლარით შემოიფარგლებოდა). ეს ნიშნავს, რომ წარმოების ხერხემალი - ჩარხის მუშა თვეში სულ მცირე, 100-150 ლარს გამოიმუშავებს. დაიფარა საკმაოდ სოლიდური (1,6 ათასი ლარი) სახელმწიფო დაბალიანება, შეძლებისდაგვარად რეგულარულად იხდება კომუნალური და სხვა გადასახადებიც.



რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჯერ შორსაა სერიოზული შედეგებისაგან, მაგრამ კმარა საიმისოდ, რომ ქარხნის მაღალმწარმოებლური პოტენციის გაღვივებისთვის უკვე ძალაში შესული მუშაობა დავინახოთ, უფრო ცხადად რომ შევიგრძნოთ წარმოების მესვეურთა საერთო მეცადინეობა იმისათვის, რომ მათი პროდუქცია არამარტო თავისი სამომხმარებლო ღირსებებით, არამედ გარეგნულ-ესთეტიკური მხარეებითაც პასუხობდეს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათ უკან დგას წარმოება, რომელიც თავის ამჟამინდელ დასახელებასა და არსებობის ფორმას შორის ბუნებრივად არსებული წინააღმდეგობრიობით თავისთავად ქმნის პრეცედენტს ამ "ღირსებას" არცთუ მოკლებულ ჩვენს ყოველდღიურობაში.

დავიწყოთ იმით, რომ "ჩარხმშენებელი", როგორც სააქციო საზოგადოება, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. მხოლოდ სახელწოდებაში გამოხატული საკუთრების ფორმის ამგვარი დაფიქსირება ძალიან ჰგავს ჩვენს მიერ ჯერ კიდევ გუშინ შედგენილ მავნე ჩვევას, თუნდაც სასწავლებლის ახლადმონათვლისას მისი დანიშნულება-შინაარსის შეუცვლელობით რომ არც ვინტერესდებოდით. მაგრამ მივყვეთ სათქმელს...

დღეის მდგომარეობით, საწარმოს მშრომელთაგან ათვისებულია (ისინი მათ უფასოდ დაურიგდათ) სააქციო საზოგადოების აქციების მხოლოდ 1,3 პროცენტი. აქციათა დანარჩენი ნაწილი ანუ 98,7 პროცენტი ჯერაც სახელმწიფოს ხელშია. საქმე ისაა, რომ იმ წლებში წარმოებაში არსებული არცთუ მთლად კეთილსასურველი ვითარების გამო, "ჩარხმშენებლის" კოლექტივმა, მძიმე მრეწველობაში სხვა მომუშავეთა მსგავსად, ვერ შეძლო გამოეფენებინა შანსი, რომელიც წარმოების ამ ურთულეს სფეროს პრივატიზების ადრეულ ეტაპზევე მისცა სახელმწიფომ. ეგულისხმობთ სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულებას, რომელიც კონკრეტულად საპრივატიზებო ობიექტების შრომითი კოლექტივებისთვის საკმაოდ ხელსაყრელ გრძელვადიან შეღავათებს ითვალისწინებდა. მაგრამ როგორც ჩანს, ქარხნის იმჟამინდელ ხელისუფალთაგან და სპეციალისტთაგან არავინ იჩქარა განემარტა მუშებისთვის მართვის არცთუ უსარგებლო ამ წინადადების ავ-კარგიანობა. შეიძლება ითქვას, რომ კოლექტივმა შანსი ვერ გამოიყენა იმიტომ, რომ საწარმოს ინტელიგენციამ ერთ დროს საბჭოთა აგიტატორების დონეზე გასაკეთებელი საქმე თავის გასაკეთებლად არ მიიჩნია. ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ პროცესს არ აკლდა მასობრიობა და ამდენად, იქნებ ერთ საწარმოზე მისი დაკონკრეტება არც ღირდეს. მით უფრო, რომ მთელი რიგი ფაქტები მეტყველებენ - გარკვეულმა კატეგორიამ ისარგებლა მშრომელი კაცის ეკონომიკური სიბეცითა და უსახსრობით და სულ რაღაც კაპიკებად გამოსტაცა თავისი წილი უკვე განსახელმწიფოებრივებულ სექტორში.

(დასასრული მე-5 გვ.)

საქციო საზოგადოება — პრობლემა, პერსპექტივა

(დასასრული)

ეს, რაც შეეხება საკითხის ერთ მხარეს... მოგეხსენებათ, მძიმე მრეწველობა, მის სტრატეგიულობაზეც რომ არაფერი ვთქვათ, სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია. ამდენად, სახელმწიფომ თავს უფლება მისცა, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს რიგ საწარმოო ობიექტთა აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელად ამ ეტაპზე თავად დარჩენილიყო. ამის თაობაზე საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ორი (1994 წლის 26 დეკემბრისა და 1996 წლის 23 მაისის) დადგენილებაც არსებობს. მათში დაზუსტებულია იმ მძიმე სამრეწველო ობიექტთა სია, რომელთა აქციების 51 პროცენტის ოფიციალურ მფლობელად კვლავაც სახელმწიფო გვეყლინება. თუმცა "ჩარხმშენებლისა" და ალბათ სხვა ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი ქარხნის დღევანდელი მონაცემებით, მავანმა შეიძლება იგი უფრო მოზრდილი წილის მფლობელადაც მიიჩნიოს. ეს პრობლემა პრივატიზების შემდგომ ეტაპზე ალბათ მეტნაკლებად დარეგულირდება.

კიდევ ერთი ნიუანსი, ყოფილი საწარმოო გაერთიანების ტერიტორიაზე ამ ბოლო ხანებში მოხვედრილ კაცს უთუოდ თვალში რომ მოხვედრია. მოვერიდებით ისტორიას. მცოდნემ ისეც იცის, ჯერ კიდევ სამამულო ომამდე თბილისში დაფუძნებულ ამ საკავშირო წარმოებას თავისი უნივერსალური პროდუქციით ძალზე მაღალი მწარმოებლური რეპუტაცია რომ ჰქონდა დამკვიდრებული. დაახლოებით 60-იან წლებში, გიგანტომანიის შემოტევის გარიჟრაჟზე გაერთიანებას ქუჩის გადაღმა მდებარე მონათესავე პროფილის საწარმოც შემოუერთეს. ეს იყო თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა, დემონოპოლიზების ხუშტურმა ისევ დამოუკიდებელ ერთეულად, ანუ პროგრამული მართვის ქარხანა "დიად" რომ აქცია. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად 30 წლიანი ეს "ქორწინება" უნაყოფო არ დარჩენილა. შემოერთებულ ტერიტორიაზე სათაო საწარმომ თავის დროზე აღმართა ახალი საწარმოო კორპუსები, და აღჭურვა კიდეც ისინი დამამუშავებელი ცენტრებითა და პროგრამული მართვის ჩარხებით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უწინარეს ყოვლისა, მთელი საწარმოო გაერთიანების მოთხოვნილება-საჭიროების გათვალისწინებით გააკეთა. გაყოფამ მთელი ეს ქონება, რაღა თქმა უნდა, ქუჩის გადაღმა მოაქცია. ამ ტერიტორიაზევე აღმოჩნდა დღეს უკვე ცალკე საიჯარო ობიექტებად მიჩნეული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო და სავაჭრო ცენტრი "ჩარხმშენებელი", რომელთა დაპატრონების იდეა, მოდავეთა თქმით, "დიას" უკვე გასჩენია. და რაც მათთვის განსაკუთრებით არსებითია, გზის გადაღმა აღმოჩნდა სათაო წარმოების (იგულისხმება სააქციო საზოგადოება "ჩარხმშენებელი") კუთვნილებაში არსებული ტექნიკის ნაწილიც, რომელსაც იგი რეალურად ვეღარც განაგებს. თუმცა კი ქონების გადასახადის გასტუმრებისას იძულებულია, თავის ძირითად ფონდებში გაითვალისწინოს. ეს ფაქტიურად ხუთწლიანი დავა ჯერაც ცნობილი ქართული ანდაზის დონეზეა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დღემდე ვერ მოხერხდა მოდავე მხარეთათვის (ამ შემთხვევაში ისინი ოთხნი არიან) მათსავე ტერიტორიაზე რეალურად არსებული ძირითადი ფონდების დაკანონება, რომ მათი ღირებულებიდან ამონაგები ქონების გადასახადიც ამით განისაზღვროს.

ელემენტარული ეკონომიკური ფორმულაა: საბაზრო ეკონომიკა ვერ შედგება, თუ არ იქნება წარმოების საშუალებათა ფლობისა და მართვის უფლება. ეს უფლება აღვივებს ინიციატივას, შემოქმედებითი მუხტი შეაქვს წარმოების ორგანიზება-გამართვაში და სტიმულად ექცევა ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებსაც. საწარმოო-სამეურნეო ურთიერთობებთან შეხებაში მყოფი საკანონმდებლო აქტებით ისეთ ღარიბ საზოგადოებაში, როგორიც დღეს ჩვენ ვართ, ახალ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრება-საქმიანობის ძალზე მწირი გამოცდილება რომ აქვს, სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც ცოტა არ იყოს, გაძნელებულია ყველა შემთხვევისთვის გამოსადეგი რეცეპტურის გამოწერა.

ცნობილია, რომ დღეს არაერთ წარმოებას ექმნება დაბრკოლება თავისი მორალურ-ფიზიკურად ამორტიზებული სამუშაო ტექნიკის სახით, რომელიც წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირების დღევანდელ პირობებში მათთვის სრულიად გამოუყენებელია, მაშინ, როცა თავისუფლად შეიძლება გამოადგეს სხვა წარმოებას. დაგვეთანხმებით, სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგებისთვის ქონების შეფასებისა თუ მისი გაყიდვა-გასხვისების კონკრეტული მეთოდიკის შეუმუშავებლობის პირობებში ანუ ჩვენთან ეს პრობლემა ძნელად შემოსავლელია მეწარმისთვისაც და სახელმწიფო სტრუქტურისთვისაც, მით უფრო, თუ მას ორივე მხარეს მდგომთათვის კარგად ნაცნობი "ჩვენი" სოციალისტური მენტალიტეტიც დაემატება. სააქციო საზოგადოება "ჩარხმშენებელში" დღეს, მის მესვეურთა თქმით, წარმოებაში გამოუყენებელი 400-ზდე დანადგარია. აქედან 200-ს სპეციალისტები თავიანთი წარმოებისათვის რა ხანია მოძველებულად მიიჩნევენ. წარმოების ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, წუხს ხელოვნურად გაზრდილი საწესდებო კაპიტალისა და შესაბამისი გადასახადის გამო და ვერც ამხელა ქონების ნებაყოფლობითი დემონტაჟის იდეას შეგუებია.

ამგვარი, ერთი შეხედვით, წვრილი, დაურეგულირებელი პრობლემა უმრავია იმ არაერთგვაროვან ურთიერთობაში, რომელსაც სახელმწიფოსა და საწარმოთა არა იმდენად ფინანსურ-სამეურნეო, რამდენადაც წმინდა მორალურ-ეთიკური ანგარიშვალდებულება ჰქვია. და კიდევ ერთი: ალბათ, გაცილებით უფრო არსებითია ისეთი საკანონმდებლო პრინციპებისა და ეკონომიკური მექანიზმების დამკვიდრება-ამოქმედება, რომლებიც მკვდარი წერტილიდან რეალურად დასძრავს ჩვენს წარმოებას.

ნინო ხარაზიშვილი

დემოკრატიის საფასური

სასამართლო პროცესი სამხრეთ კორეულად

კორეა აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოა და ძირითადად განლაგებულია კორეის ნახევარკუნძულზე. მოსახლეობა 46,2 მლნ მცხოვრები (აქედან სამხრეთ კორეაში 32 მლნ მცხოვრები). 1950-53 წლების ომის შემდეგ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის, დაახლოებით 38° განედის გასწვრივ, გადის სადემარკაციო ზონა, რომელიც ქვეყანას ორ ნაწილად ჰყოფს. კორეა ერთნაციონალური ქვეყანაა და მოსახლეობის 99%-ს კორეელები შეადგენენ. 1948 წ. შეიქმნა სამხრეთ კორეის რესპუბლიკა. წლების მანძილზე ყოველმხრივ კომუნისტური სახელმწიფოებით გარშემორტყმულ რესპუბლიკას დიქტატორი გენერლები მართავდნენ. სამხედრო ტირანია ოპოზიციის მწვავე გამოსვლების გამომწვევი ფაქტორი გახდა. განსაკუთრებით არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მოსახლეობის სოციალურად ყველაზე აქტიური ნაწილი - სტუდენტები გამოდიოდნენ, რის გამოც ჩრდილოეთკორეელი კომუნისტები ასეთ აქციებს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისად თვლიდნენ. მათ შორის ყველაზე მწვავე სტუდენტური გამოსვლები მოხდა 1979 წელს, ქალაქ კვანჯუში, რომლებიც ამ დროს ქვეყნის სათავეში მდგარმა გენერალმა ჩონ დუნ ხვანმა სისხლში ჩაახშო. სხვადასხვა მონაცემებით დაიღუპა 200-დან 2000-მდე სტუდენტი.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კორეაში ეკონომიკური აღმავლობა ზუსტად 80-იან წლებში დაიწყო და ე.წ. „კორეული ეკონომიკური სასწაული“ დღემდე გრძელდება. თვით ამ ქვეყნის საქონელი მსოფლიო ბაზარს იპყრობს და კონკურენციას უწევს მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით უმაღლესი ხარისხის ელექტრონული ნაწარმით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელებმა იცოდნენ ჩონ დუნ ხვანის მიერ დაგეგმილი ოპერაციის შესახებ, აშშ-ს მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა და მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა, კორეაში მღელვარების ჩასახშობად, დიქტატორს არმიის გამოყენების უფლება მისცეს და სამაგიეროდ გენერალს ქვეყნის თანდათანობით დემოკრატიზაციის უფლება წაუყენეს.

1994 წელს ცენზურის კლანჭებიდან განთავისუფლებულმა სამხრეთ კორეის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა ქვეყანაში არსებული ე.წ. „საიდუმლო ფონდის“ არსებობის შესახებ, სადაც თანხას აგროვებდა ახლანდელი პრეზიდენტის წინამორბედი რო დე ვუ, ჩონ დუ ხვანის საქმის გამგრძელებელი და მემკვიდრე. საიდუმლო ფონდს აფინანსებდნენ ისეთი სამხრეთ-კორეული გიგანტი კონცერნები, როგორებიც არიან „სამსუნგი“, „დაევუუ“ და სხვები. ფონდის დაფინანსების საზღაურად სპონსორებს სარგებლიანი სახელმწიფო შეკვეთები და ყოველმხრივი სამთავრობო დახმარება ეძლეოდათ. ფონდის სახსრები კი სამხრეთკორეული დემოკრატიის ჩამოყალიბების საქმეს ხმარდებოდა. ამგვარად დაარსდა კორეის „დემოკრატიულ-ლიბერალური პარტია“ (დ.ლ.პ.).

ხელისუფალთა კორუფციით აღშფოთებულმა მოსახლეობამ დამნაშავეთა სახალხოდ დასჯა მოითხოვა. რო დე ვუმ აღიარა თავისი შეცოდებანი და საქვეყნოდ შენდობა ითხოვა. კორეის პროკურატურამ კი რომელსაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რო დე ვუ დააპატიმრა და წაუყენა მექრთამეობასა და კორუფციაში ოფიციალური ბრალდება. დაიწყო გამოძიება, რომელსაც შეიძლებოდა ჩრდილი მიეყენებინა ამჟამინდელი პრეზიდენტის კიმ ენ სამის პოლიტიკური კარიერისათვის. ეს უკანასკნელი კი აპირებს ხელმეორედ იყაროს კენჭი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ამიტომ კიმ ენ სამს ხელს არ აძლევდა, რომ გამოძიება წასულიყო მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის გზით. კორეის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გამოძიების მსვლელობა ისე შემოაბრუნა, რომ კორუფციამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო პირველ საფეხურზე დიქტატურასთან ბრძოლის პრობლემები წარმოისახა. რო დე ვუ მექრთამიდან დიქტატორად გადაიქცა, თან არა უბრალო, არამედ ჯალათი მმართველის ჩონ დუ ხვანის მემკვიდრედ და საქმის გამგრძელებლად. იმ ჩონ დუ ხვანის, რომელმაც ასე სასტიკად ჩაახშო სტუდენტური მღელვარების მონაწილენი 1979 წელს. მოსახლეობა აღფრთოვანებაში მოვიდა დიქტატორი პრეზიდენტის გასამართლების შესაძლებლობით და ქვეყნის ახალ მმართველს ულაპარაკოდ მიენდო. ისიც კი დაიჯერეს, რომ ეიმ ენ სამმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ამიტომ ასამართლებდა საჯაროდ დამნაშავე „სისხლიან დიქტატორებს“.

ჩონ დუნ ხვანმა საპროტესტო შიმშილობა გამოაცხადა, ხოლო მის გვერდით საკანში მოთავსებულმა რო დე ვუმ ასეთი აქციისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა, მაგრამ ორივემ განაცხადა, რომ მათი მოქმედება, კვანჯუში მღელვარების ჩასახშობად, გამოწვეული იყო სახელმწიფოებრივი აუცილებლობით, სამხრეთკორეული დემოკრატიის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე. არც ერთი მათგანი თავს არ სცნობდა დამნაშავედ და ორივე საბედისწერო შეცდომად მხოლოდ „საიდუმლო ფონდის“ შექმნას აღიარებდა.

ამავე დროს კორეის პარლამენტის უმრავლესობას კიმ ენ სამის „დემოკრატიულ ლიბერალური პარტია“ შეადგენდა და ამიტომ პრეზიდენტმა იოლად „გაათრია“ კანონი, რომელიც მას რო დე ვუს და ჩონ დუ ხვანის გასამართლების და სახელმწიფო ღალატში დადანაშაულების საშუალებას აძლევდა. ოპოზიციის გამოსვლები, რომ ამჟამინდელ პრეზიდენტს კავშირი ჰქონდა ფონდთან, საყოველთაო აღფრთოვანების მორევში დაიკარგა.

საბოლოოდ სასამართლომ ჩონ დუ ხვანს ჩამოხრჩობა, ხოლო რო დე ვუს 22 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ცალკე გამოიტანეს განაჩენები მექრთამე ბიზნესმენების მიმართაც, მაგრამ ამ უკანასკნელთა სასჯელი ყოველთვის მთავრდებოდა განაჩენით ორი, სამი წელი პირობითად ან სამი წლის გადავადებით. ყოფილმა პრეზიდენტებმა უარი თქვეს აპელაციაზე. ალბათ, სასამართლოს გადაწყვეტილებას სისრულეში მოყვანა არც უწერია, რადგან ჩონ დუ ხვანი ძალიან ავადაა, ხოლო რო დე ვუ მოსალოდნელია, რომ საერთოდ შეწყალებას მიიღებს. შედეგით ყველა კმაყოფილი დარჩა. მოსახლეობამ კიდევ ერთხელ მიიღო დემოკრატიული გარდაქმნების დამადასტურებელი ფაქტი, ხოლო კიმ ენ სამმა პრინციპული, სამართლიანი და რაც მთავარია, პატიოსანი პრეზიდენტის სახელი დაიმკვიდრა.

ალბათ, ტყუილად არ უთქვამთ თავის დროზე, რომ ყველა ქვეყანაში ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იგი იმსახურებს.

ირაკლი ჩხაიძე

ინფორმაცია

რუსეთი

ორი ახალი ტრანშიც ჩამდის აქვთ

ოქტომბრის ტრანშის გადავადების მიუხედავად რუსეთს იმედი აქვს, რომ ნოემბრის ბოლომდე ერთბაშად მიიღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორ ტრანშს, - განაცხადა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ალექსანდრე ლივშიცმა. "ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გადასახადების მოსაკრებლად გატარებული ღონისძიებები შედეგს მოგვცემს და ფონდი დაგეგმილ ტრანშზე უარს არ გვეტყვის", - დასძინა მან.

ფინანსთა სამინისტრო მოელის, რომ გაიზრდება აქციზიდან შემოსავლები. ამასთან, ბიუჯეტის მოვალე საწარმოების მიერ გადახდილი თანხა, სამინისტროს ვარაუდით, მიაღწევს დაგეგმილ 7 ტრილიონ რუბლს.

გამოქვეყნდა გაკოტრებულთა ახალი სია

გადასახადების გადახდის სისტემისა და ანგარიშსწორების სისტემის სრულყოფის ოპერატიულმა სამთავრობო კომისიამ განსაზღვრა ბიუჯეტის დავალიანების მქონე იმ საწარმოების ნუსხა, რომლებიც შეიძლება გაკოტრებულად გამოცხადდნენ. მათ გაეგზავნათ შეტყობინება, რომ ერთი კვირის ვადაში დაფარონ დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქმე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცემა. გაკოტრების კანდიდატებს შორის არიან ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა ტაშტაგულის მადაროთა სამმართველო, ზლატოუსტის მეტალურგიული კომბინატი და სხვ.

გადასახადებს ბევრი არ იხდის

ძნელად ივსება რუსეთის ხაზინა. მიმდინარე წლის 9 თვეში ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლის წილი არის 172 ტრილიონი რუბლი, რაც დაგეგმილის მხოლოდ 71 პროცენტს შეადგენს. უცვლელი რჩება სიტუაცია გადასახადების სფეროში. აქედან შემოსულმა თანხამ ცხრა თვეში შეადგინა დაგეგმილის 64 პროცენტი. როგორც ჩანს, ურჩი გადამხდელები მარტო საქართველოში არ არიან.

უხვი მოსავალი მოიწია

ყველა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებმა ოქტომბრის ბოლოსათვის დაბინავეს 73,5 მილიონი ტონა ხორბლის მარცვლეული. ეს 7 პროცენტით აღემატება გასული წლის მონაცემებს.

ამასთან, 12 პროცენტით გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობა და 16,4 ცენტნერს მიაღწია. ჯერ კიდევ ასაღებია მოსავალი მთელ რიგ რეგიონებში, განსაკუთრებით ციმბირის ზონაში. ასე რომ, რუსეთს პურ-პროდუქტების სიმცირე არ ემუქრება.

კლაუდია შიფერის გულუხვი ძღვენი

ცნობილმა ტოპ-მოდელმა კლაუდია შიფერმა მოსკოვში ვიზიტის დროს რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ("ლენინკას") საჩუქრად 10 ათასი დოლარი გადასცა.

ამ ქველმოქმედების აღსანიშნავად ბიბლიოთეკის შენობას გაუკეთდება სპეციალური ფირნიში. ისე კი ქალბატონი შიფერი მოსკოვს ეწვია არა მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებით, არამედ "სამუშაოდ". "გუმში" დაესწრო კოსმეტიკური ფირმა REVLON-ის განყოფილების გახსნას. ამ ფირმასთან ქალბატონ შიფერს სარეკლამო კონტრაქტი აქვს დადებული 10 მილიონ დოლარზე.

10 ათასი დოლარი - ჯარიმად

ჟენევის სანახებში განლაგებული ვილების მფლობელებმა სასამართლოში უჩივლეს თავიანთ მეზობელს საუდის არაბეთის მეფეს ფაჰდის. საჩივრის საფუძვლად ის მოიტანეს, რომ მის ვილაზე წამოწყებული სამუშაოები ზიანს აყენებს ბუნებრივ ლანდშაფტს. საქმე ის გახლავთ, რომ ფაჰდის განზრახული აქვს თავისი ფული დიდხანს ვერ ჩერდება. ნაწილი ხმარდება ახალ-ახალი ტანსაცმლისა და ცისარტყელას შვიდ ფერად (რა თქმა უნდა, მონაცვლეობით) შეღებვას. დანარჩენი კი ელვისუსწრაფესად "იწვის" ლას-ვეგასის კაზინოებში.

ამჟამად დენის როდმანი დაოჯახებას აპირებს. ცოლად მოჰყავს სტრიპტიზის ოსტატი სტეისი იარბრუ. ისე კი აქამდე დენისი მადონასთან მეგობრობდა.

სია, რომელმაც 1894 წელს საფრანგეთის მთავრობამ შპიონაჟში ამხილა (ცნობილი იყო, როგორც "დრეიფუსის საქმე"). ეს წერილი დათარიღებულია 1895 წლის 14 იანვრით და 66,6 ათას დოლარად გაიყიდა (თავდაპირველი ფასი 8-10 ათასი). ასევე 66 ათას დოლარად წავიდა მეორე რარიტეტიც - შარლ ბოდლერის წერილი მადამ საბატიესადმი, 1857 წლის 31 აგვისტოს დაწერილი.

პანორამა

სასახლის ირგვლივ თერთმეტი ახალი ვილა ააგოს სტუმრებისა და მხლებლებისათვის, ასევე მიწისქვეშა გარაჟი 70 - ავტომობილისათვის. სასამართლოს გადაწყვეტილებით 20 ხის მოჭრისათვის მან უკვე გადაიხადა 10 ათასი დოლარის ჯარიმა, ახალი კომპლექსის მშენებლობას კი სასამართლომ ყადაღა დაადო. თავდაპირველად ეს მამული ეკუთვნოდა "განდეგილ" მულტი-მილიონერს რუბი რეიბელს, რომლის ვილაში მის გარდა მხოლოდ ...ოცდაათი კატა ცხოვრობდა და ნებივრობდა. თავისი შვეიცარული სამფლობელო რუბიმ მთლიანად ცხოველთა დაცვის საზოგადოებას უანდერძა, მაგრამ გარკვეული ვალების დასაფარავად საჭირო გახდა მამულის ერთი ნაწილის გაყიდვა - ასე ჩაუვარდა იგი ხელთ ფაჰდის.

ფრანსუა მიტერანის სიჭაბუკის ცოდვანი

9,6 ათას დოლარად გაიყიდა პარიზში Drouot-ის აუქციონზე ეროტიული თხზულება, რომელიც ეკუთვნის... ფრანსუა მიტერანს. მიტერანს ეს თხუთმეტგვერდიანი ოპუსი სიჭაბუკის წლებში შეუდგენია.

რარიტეტის ახალი მფლობელის - ცნობილი ბიბლიოფილისა და მოვაჭრის ჟერარ ობერლეს სიტყვებით, ყოფილი პრეზიდენტი თურმე კოლექციონერობასაც ეწეოდა. ხელნაწერთა მის მცირე ნაკრებში, სხვათა შორის, ინახებოდა "კაზანოვას მოგონებები"-ს ორიგინალი. ამჟამად ფრანსუა მიტერანის თხზულება ჟერარ ობერლეს პირად კოლექციაშია - მიტერანის ყოფილი რეზიდენციის Chateau-Chinon-ის მახლობლად მდებარე მამულ Nievre-ში.

კალათბურთის შემოსავალი

წელს 26 მილიონი დოლარი გამოიმუშავა თავისი ექსტრავაგანტულობით ცნობილმა ამერიკელმა კალათბურთელმა, გუნდ Chicago Bulls-ის super star-მა დენის როდმანმა. თუმცა მის საბანკო ანგარიშზე

საოჯახო იმპერია აღდგება

ოცდათექვსმეტი წლის მარკ გეტიმ გადაწყვიტა აღადგინოს ცნობილი საოჯახო იმპერია. მას შემდეგ, რაც 1984 წელს კომპანია "Gettý Oil"-ი კომპანია "Texaco"-მ შეისყიდა 10 მილიარდ დოლარად, დინასტიის წევრები ცხოვრობდნენ მემკვიდრეობის თავთავისი წილის ხარჯზე.

ახალი ფირმა Getty Comunications მარკმა ჩაიფიქრა როგორც mass-media-ს კომპანია, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს ბილ ჰეიტსს ვიზუალური ინფორმაციის შეკრების და დაგროვების სფეროში. აღსანიშნავია, რომ მარკმა როცა ახალი საოჯახო ბიზნესის ორგანიზაცია ჩაიფიქრა, იგი შეხვდა დევიდ როკფელერს და ნიუანსების შესახებ მოეთათბირა მას. ამას გარდა მარკის სტრატეგიული ამოცანაა ისარგებლოს მამამისის ჟან პოლ გეტიუმცროსის - ცნობილი ფილანტროპის, მხარდაჭერით.

დრეიფუსის საქმე

ცნობილ კოლექციონერს დინა ვერნის 960 ათასი დოლარი მოუტანა Sothby's-ის აუქციონზე ფრანგ მოღვაწეთა ავტოგრაფების კრებულის გაყიდვამ. ვაჭრობაზე ყველაზე დიდი წარმატება ხვდა ალფრედ დრეიფუსის წერილებს. ეს ის ალფრედ დრეიფუ-

ფლობერის ტურგენევთან მიმოწერა 1863-1880 წლებში 40 ათას დოლარად ხელში ჩაიგდო საფრანგეთის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ.

ფოტომოდელები და რესტორნები

სახელგანთქმულმა ფოტომოდელმა ნაომი კემპბელმა, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში საფუძველი ჩაუყარა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ახალ რესტორანს. საქმე ის გახლავთ, რომ მშენებლის სამოსში გამოწყობილმა ქალბატონმა სიმბოლურად ასწია სამშენებლო ჩაქუჩი. ახალ რესტორანში გამასპინძლებას შემოქმედებითად დაუკავშირდება მოდების ჩვენება. ამას წინათ ნაომი კემპბელს მიბაძა პროფესიით მისმა მეგობარმა კლაუდია შიფერმაც. იმანაც მსგავსი კაფე გახსნა, ოღონდ სხვა აზიურ სახელმწიფოში - ინდონეზიაში. მსგავსი კაფეები აქვთ გახსნილი მათ მეგობრებს - ელა მაკფერსონს და ქრისტი რერლინგტონს. ამ ოთხეულს უკვე ეკუთვნის კაფეები ნიუ-იორკსა და ახალ ორლეანში. ახალი პროექტი კი ბარსელონასა და ლონდონსაც ითვალისწინებს.

ფრანგული რომანები ამერიკელი პენსიონერისათვის

აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს უორენ ქრისტოფერს, პარიზში ორდღიანი ვიზიტის დროს გამოსათხოვრად საჩუქრად გადასცეს ხუთი ფრანგული რომანი, რომლებსაც წელს პრესტიჟული ლიტერატურული პრემიები მიაკუთვნეს. კრისტოფერს წიგნების შეკვრა რომ მიართვა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ერვე დე შარეტმა იმედი გამოთქვა, რომ ახლა მის ამერიკელ კოლეგას მეტი დრო ექნება საკითხავად. ფრანგმა ჟურნალისტებმა ამ ნათქვამში ქვეტექსტად ის დაინახეს, რომ საფრანგეთს განზრახული აქვს რევანში აიღოს აშშ-ის მრავალწლიან "კულტურულ ექსპანსიაზე" ევროპაში.

ამერიკის მეორე აღმოჩენა

ევროპის მოწინავე ბანკები, რომლებიც დაბეჯითებით ისწრაფვიან გლობალიზაციისაკენ, აგერ უკვე მერამდენე წელია ცდილობენ ფეხი მოიკიდონ მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ ბაზრებზე, პირველ რიგში კი აშშ-ში. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მსგავსი ცდები განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. Union Bank of Switzerland-ი და Deutsche Bank-ი ის ბანკებია, რომლებიც მნიშვნელოვან თანხებს დებენ ამერიკულ ბანკებზე თავიანთი ზეგავლენის განსამტკიცებლად. ამავე დროს, ევროპელები დღეს აკონტროლებენ ნებისმიერი უმნიშვნელოვანესი ჩრდილო ამერიკული ბაზრების მეტისმეტად მცირე ნაწილს, თუმცა დაახლოებით ექვს მათგანს შეუძლია გააფართოოს თავისი ზეგავლენის სფერო.

ჩრდილო ამერიკაში Union Bank of Switzerland-ის მთავარი მმართველის კაპონეს აზრით, საერთაშორისო საინვესტიციო ბანკის სტატუსი შეუძლებელია ქვეყნიერების ამ ნაწილში მყარი არსებობის გარეშე. ევროპული ბანკები საკმაოდ ჩამორჩებიან ისეთ მსხვილ ამერიკულ სტრუქტურებს, როგორებიცაა Morgan Stanley და Merrill Cynch-ი, რათა შეეიღნენ მსოფლიო საინვესტიციო საბანკო ბიზნესის ლიდერთა ჯგუფში.



ამერიკულმა კომერციულმა ბანკებმა, იმავე სტატუსის მოპოვებისთვის ბრძოლაში, უკვე დიდი ხანია ფესვი გაიღგეს ევროპის საინვესტიციო ბიზნესის ცენტრალურ მოედნებზე. თავის მხრივ, არც ევროპელებს სძინებიათ ყურზე, განსაკუთრებით ეს ითქმის შვეიცარიისა და გერმანულ ბანკებზე, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საფონდო ბაზარზე კაპიტალის დაბანდებაში. თუმცა, ერთადერთი ევროპული ბანკი, რომელსაც ძლიერი პოზიციები აქვს ამერიკაში, არის შვეიცარიული Credit Suinsi-ი, რომელმაც 1978 წელს კოლეგებში პირველმა შეიძინა ამერიკის წამყვანი საინვესტიციო ბანკის First Boston-ის აქციების პაკეტი.

ევროპული ბანკების ძირითადი ნაწილი ცდილობს თავისი გავლენა გაავრცელოს ამერიკულ ეტალონებზე შემოსულ ევროპული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ვიდრე რეალური ბიზნესის თანმიმდევრული შესყიდვისა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სპეციალისტთა აზრით, შეიძლება იყოს ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი - ბრიტანეთის ბაზარზე შემოსაელების უტილიზაციის პრობლემები, რასაც შვეიცარიისა და გერმანიის ბანკები განიცდიან. მეორე მიზეზად შეიძლება გამოდგეს აშშ-ში არსებული კლიენტების შემადგენლობით დაუკმაყოფილებლობა. აღგილობრივ ბროკერთა და საინვესტიციო ბანკების სიმრავლის მიუხედავად მათგან თითებზე ჩამოსათვლელი მუშაობს ამერიკის ბიზნესის მთლიან სპექტრთან, ვაჭრობიდან ღაწყებული და კორპორაციული კონსალტინგით დამთავრებული, რაც ევროპელებს შეეძლოთ თავიანთ კონტროლში მოექციათ.

გაზეთ "ფაინენშნლ თაიმსი"-ს აზრით, ევროპის კომერციული ბანკებისათვის ამ სიტუაციაში არსებობს ორი შესაძლო სტრატეგია. პირველი - სცადო ურთიერთობა "ჯვარედინ" ინვესტიციებთან, ე.ი. აშშ-ში გაასაღონ ევროპული ფასიანი ქაღალდები. მარფალია, ამას მოგებასთან ერთად შეიძლება თან სდევდეს საკმაო მერყეობა ბიზნესის სფეროში მოცემული ბანკისათვის, რამდენადაც ამერიკელებს, რომლებიც თვითონაც შეისყიდიან საფონდო ბაზრის ევროპულ ინსტრუმენტებს, შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ აღგილობრივ სპეციალისტებს მომსახურების საკითხებში.

მეორე გზაა, შეეცადონ ფეხდაფეხ მისდიონ ამერიკულ ფირმებს მათ საფონდო ბაზარზე, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, ბანკი Hat West-ი. იგი შეისყიდის მცირე ფირმებს და ამგვარად კომპანიების შერწყმის პროექტების, სახსრების განთავსების და ვაჭრობის ობლიგაციების ექსპერტიც წილში შედის. ამისათვის აუცილებელია ჰქონდეს ძლიერი და გავლენიანი კლიენტების სია აშშ-ში, რაც ხელმისაწვდომია ევროპის ყველა ბანკში.

ნებისმიერ შემთხვევაში ამერიკულ ბაზარზე ევროპელებს უჭირთ. საბანკო ბიზნესს ხშირად დიდი რისკი ახასიათებს და კონიუნქტურის მკვეთრი შეცვლის შემთხვევაში საფონდო ბაზარზე თავისი წილის გასაზრდელად გაწეული მრავალწლიანი ფულადი "გადასახადები" შეიძლება ფუჭი გამოდგეს. მეორეს მხრივ, არც წამყვან ამერიკულ საინვესტიციო ბანკებს აქვთ თვითკმაყოფილების საბაბი, რადგანაც უოლ-სტრიტზე 70-იან, 80-იან წლებში საფინანსო პოლიტიკის განმსაზღვრელი ბევრი ფირმა დღეს აღარც კი არსებობს. ასეთებია, მაგალითად, Dretel Burnham Lambert-ი, რომელმაც 1980-იან წლებში თავის ხელში მოიქცია ეგრეთწოდებული "უიმედო" ობლიგაციების ბაზარი. ამერიკის ფინანსურ ბაზარზე დათვების ბატონობის ფონზე ამან შეიძლება კარგი შანსი მისცეს ევროპელებს, რომლებიც დღეს სულ უფრო და უფრო მეტი წარმატებით ეძებენ ბაზარს ამერიკის შეერთებული შტატების აღრე მიუდგომელი სავაჭრო სახლების სისტემაში.

"ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲛᲝᲘᲒᲔ!"

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲗ ᲓᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘ

მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება ნიკ ლისონი. ეს იმ ჭაბუკის სახელი და გვარია, რომელმაც გაკოტრებამდე მიიყვანა სოლიდური ბრიტანული ბანკი. ფსიქიატრები ამბობენ: შეიძლება საერთოდ შეურაცხადი იყოს, რადგანაც მაკლერს კი არა, მანიით შეპყრობილ მოთამაშეს უფრო ჰგავსო.

სულ ცოტა ხნის წინათ მედიცინას საერთოდ არ ეკითხებოდა ისეთი გავრცელებული და ქიმიურ ნივთიერებათა მიზეზებისაგან დამოუკიდებელი მანიები, როგორიცაა მოხმარების მოთხოვნილება, უსაზღვრო მიდრეკილება სექსისადმი, პათოლოგიური სწრაფვა მუშაობისადმი, და რა თქმა უნდა, მათ შორის - თამაში (იგულისხმება ბირჟაზე, "რულეტკაზე", ბანქოთი).

საბრალო უოლ-სტრიტის განმგებელი ბიზნესმენები! ჯერ კიდევ გუშინ მეტი გზა არ ჰქონდათ, ყოველგვარი სამედიცინო ცნობის გარეშე უნდა მინდობოდნენ თავის ბირჟის სპეკულანტებს. მაგრამ განა თვითონ მათ - ბირჟების "ლომებმა" და "ზვიგენებმა" კი იცოდნენ, გარკვეული ჰქონდათ ვინ იყვნენ სინამდვილეში - სოლიდური პროფესიონალები თუ წუთიერი ხალიფები?

დღეს ყველაფერი შეცვლილია. მეცნიერება ერთ ადგილას ხომ არ დგას, ხომ გამუდმებით წინ მიიწევს და აი, უკვე ჩვენს ხელთაა (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ბიზნესმენების ხელთაა-თქო), მეცნიერულად დამუშავებული და დადგენილი თეორიები;

ჯერ ერთი, გაჩნდა ახალი ტექნიკური შესაძლებლობები. ამერიკელებმა ჩარლზ უორენმა და ბრიუს მაკლონმა პირველად შეძლეს საკმარისი საიმედოობით გამოარჩიონ ჩვეულებრივი მოყვარული მოთამაშეები პათოლოგიური მოთამაშეებისაგან. ეს გარჩევა ხდება ტვინის ბიოდენებზე დაკვირვების შედეგად.

მეორე, ყინული გალღვა გამოყენებით ფსიქოლოგიაში: მიუნხენელმა ფსიქოლოგებმა დაამუშავეს ახალი კითხვარი, რომელიც საშუალებას იძლევა ადამიანს ტესტირება ჩაუტარდეს პარამეტრებით - "რისკი, აღგზნება და კონტროლი" - რა თქმა უნდა, ფულთან დამოკიდებულებაში.

მესამე, ფუნდამენტურმა მეცნიერებამ, როგორც ჩანს, ახსნა მოუნახა "თამაშის მანიის" ფენომენის არსს.

დავიწყოთ შუიდან, ყველაზე მარტივიდან. არსებობენ ადამიანები, რომლებიც გამიორჩევიან რისკისადმი მზადყოფნით, და თანაც საკმარისი თვითკონტროლის უნარიც აქვთ. ისინი, რა თქმა უნდა, მეტ შანსს ფლობენ - არც თვითონ "გაკოტრდნენ" და არც სხვები "გააკოტრონ", ვიდრე ისინი, ვისაც არ შეუძლია აზარტის კონტროლი, თავის მოთოკვა. ტესტი გათვალისწინებულია ინდივიდუალური კონსულტირებისათვის, ამჯერად კიდევ იხვეწება სბანკო წრეებთან დაახლოებულ ერთ-ერთ ცნობილ ინსტიტუტში.

ახლა მზერა ოკეანის მიღმა მივმართოთ. ამერიკელებმა, რომლებიც გიუდებიან ტექნიკურ პროგრესზე, შეასრულეს საკომპიუტერო თამაშების დროს ტვინის აქტივობის გაზომვა და ერთი საოცარი კანონზომიერება აღმოაჩინეს: მოგების დროს ზოგ მოთამაშეს ტვინის აქტივობა უმაღლდება, ზოგს კი პირიქით - უმცირდება.

ნარლზ უორენი ფრიად გაოცდა, როცა ნახა, რომ სწორედ მეორე ჯგუფში შედიოდნენ მანიით შეპყრობილი მოთამაშეები.

უორენი, რომელიც თვითონ არ თამაშობს, ფიქრობდა, რომ ლოგიკის მიხედვით ყველაფერი ზუსტად პირიქით უნდა მომხდარიყო, მაგრამ მერე ერთმა ნაცნობმა, ადრე "რულეტკის" დიდმა მოყვარულმა გაანათლა: "ნამდვილ კაიფს წაგების დროს იჭერო!" და მართლაც, ტვინის აღგზნება წაგების დროს მეორე ჯგუფში გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში.

მაშასადამე, გამოდის, რომ ჭიპმოჭრილ მოთამაშეს არ უხარია წარმატება?

ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ივერ ჰანდმა (სპეციალობით ფსიქიატრმა) გამოიკვლია მრავალი პათოლოგიური მოთამაშის ქცევა და მათი კარიერა. აი, მისი დასკვნები: "ასეთ ადამიანებს სავსებით არ გააჩნიათ უნარი - ისწავლონ თავის წარმატებებზე. ამის ნაცვლად მათ უმუშავდებათ ეგრეთწოდებული მაგიური აზროვნება, როცა ადამიანი ირწმუნებს რაღაც "საკუთარ სისტემას". ასეთ მოთამაშეს რაც უფრო ნაკლები რეალური შედეგები აქვს, მით უფრო უმტკიცდება თავისი შესაძლებლობების ფანატიკური რწმენა.

მანიით შეპყრობილი მოთამაშე ნებისმიერ გამართლებას, მოგებას თავისი "გლობალური" სისტემის დასტურად აღიქვამს. მისი თვალსაზრისით, ეს ნორმალურია. ამიტომ ხელის ჩაქნევა არ ღირს. მაგრამ წაგებათა სერიის შემდეგ (როცა პროფესიონალი, ჩვეულებრივად, თავს ანებებს თამაშს) ფანატიკოსი ძლიერი ემოციით რეაგირებს: გაღიზიანებულია, განაწყენებული - მაგრამ თამაშს მაინც განაგრძობს. წარმოიქმნება თავსმოხვეული მოთხოვნილება: შელახული ღირსების გრძნობა მოითხოვს თამაშს, თამაშს "სისტემის" სრულ რეაბილიტაციამდე.

საბოლოოდ წაგებული მოთამაშე სხვადასხვანაირად იქცევა. ზოგი ძალას პოულობს და სხვა საქმეს მოეკიდება, ზოგი კი ფულს ისესხებს და ყველაფერს თავიდან დაიწყებს. ფანატიკოსს, როგორც ნიანგს მხოლოდ ერთი გზით შეუძლია მოძრაობა. მითუმეტეს, თუ ამ გზით ერთხელ უკვე რაღაც წარმატებას მიაღწია.

თუმცა, ყველა "მოთამაშეს" როდი ახასიათებს თავისი სისტემის ურყევი რწმენა: აქ, როგორც ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფში არსებობს ნაირნაირი სახეობა და ტიპი, არიან ყიდვა-გაყიდვაზე გადარეულები, ან ისეთები, რომლებსაც თავგზას უბნევს მსხვილი ფულით ჟონგლიორობა; არიან ადვილად დასაყოლიებელი ადამიანებიც - მათ თვით ბირჟის, "რულეტკის" თუ ბანქოს თამაშის ატმოსფერო იპყრობთ, ყველა მოთამაშეს კი ერთი რამ აქვს საერთო: ყველას შეუძლია წაგება, მაგრამ მათთვის აუცილებელზე აუცილებელია მოგება. სწორედ წაგება, სწორედ წარუმატებლობა აიძულებს ასეთ ადამიანებს განაგრძონ თამაში.

საინტერესოა, სად გადის ზღვარი ბირჟაზე მოთამაშეს, პროფესიონალს, მოყვარულ მოთამაშესა და მანიით შეპყრობილ მოთამაშეებს შორის?

"დიახ, იქ, სადაც ადამიანი წყვეტს ფიქრს და დამონების ნებას აძლევს ყოველნაირ გარე ზემოქმედებას" - პასუხობს ამ კითხვას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბირჟის სპეციალისტი. [illegible] მოცდაათი წლის ანარ[illegible] (იგი ბირჟაზე წარმატებით ოამაშობდა მთელი სამ[illegible] განმავლობაში) - ნამდვილი პროფესიონალი იმით განსხვავდება სხვებისაგან, რომ ყოველთვის ინარჩუნებს საღი აზროვნების უნარს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოგებისაკენ სწრაფვას. ბირჟაზე წარმატების მისაღწევად საჭიროა შემდეგი: ფულადი ინტერესის ზუსტი დაცვა, ფსიქოლოგიური "ჩაკეტვა" (უნარი, არ აჰყვეს გარე ზემოქმედებას, სხვის მაგალითს, სხვის სიტყვას, განწყობას და ა.შ.), მოთმინება და საკუთარი დიდი ფული. როგორც კი მათგან ერთი ფაქტორი იკარგება, პროფესიონალი უბრალო მოთამაშედ გადაიქცევა. არადა, ასეთი მოთამაშეები მსოფლიოს ნებისმიერ ბირჟაზე უხვად (90%-ით) მოიპოვებიან".

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ
"РОВЕСНИК" №11



ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

მაღალი ხელოვნების სამყარო სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება დიდი ბიზნესის მიწიერ სამფლობელოს, რომელიც ყოველწლიურად უზარმაზარ თანხებს ხარჯავს გამოფენებისა და სხვა სამეცენატო საქმიანობისათვის.

ამის ნათელ დადასტურებად იქცა გამოფენა "პიკასო და პორტრეტები". იგი თავდაპირველად მოეწყო ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში; წარმოდგენილი იყო 220 ნამუშევარი. ამის შემდეგ ექსპოზიცია შემცირებული ვარიანტით (150 სურათი და ნახატი) გადავიდა პარიზის სასახლე "გრან პალე"-ში. იმავე დროს დედაქალაქის პიკასოს მუზეუმში გამოფენილია მისი გრაფიკული ნამუშევრები.

ნიუ-იორკის ექსპოზიციის ბიუჯეტმა 5 მლნ დოლარი შეადგინა, პარიზისამ კი დაახლოებით ორჯერ ნაკლები. ატლანტიკის მიღმა გამოფენას სპონსორობა გაუწიეს კონცერნებმა "ფილიპ მორისმა" და "შერატონმა". პირველი მათგანი მეცენატობაზე ხარჯავს ყოველწლიური ბრუნვის დაახლოებით 1%-ს, რაც დაახლოებით 63 მლნ დოლარია.

"ფილიპ მორისი"-ს გულუხვობა შეიძლება იმითაც იხსნას, რომ გარკვეულწილად თავის რეპუტაციაზე ზრუნავს. შეერთებულ შტატებში ეს საკმაოდ რთული საქმეა. ასე მაგალითად, ქალაქ სან-დიეგოს მუზეუმმა ამას წინათ უარი თქვა სიგარეტის კონცერნის სუბსიდიებზე მოქანდაკე დებორა ბატერფილდის გამოფენისათვის. "ჩვენ არ ვთანამშრომლობთ სიკვდილით მოვაჭრეებთან" - განაცხადა მუზეუმის დირექციამ. სპონსორობაში, თავისი პარტნიორისაგან განსხვავებით სასტუმროს ჯგუფი "შერატონი" პირველად გამოვიდა ასეთ როლში. მან თავის ბინადართ, ნიუ-იორკის ორ ოტელში, სადაც ნომრები 200-დან 450 დოლარამდე ღირს, უფასოდ დაურიგა პიკასოს გამოფენაზე შესასვლელი ბილეთები. პარიზული ექსპოზიციის მთავარი სპონსორი გახდა უდიდესი კომპანია "ლუი-ვიუტონ - მოეტ-ენესი", რომელიც აწარმოებს ფუფუნების საგნებს, პარფიუმერიას, კოსმეტიკას, კონიაკებსა და შამპანურს.

გამოფენის ბიუჯეტში გასავლის ძირითადი პუნქტი - 2,5 მლნ დოლარი ხმარდება დაცვას (1 მლნ), დაზღვევას (0,7 მლნ), ექსპოზიციის მომზადებას (0,32 მლნ), ტრანსპორტს (0,3 მლნ). კომპანია "ლუი-ვიუტონ - მოეტ-ენესი" გამოფენებში ჩადებულ თანხას არ ასახელებს, მაგრამ ითვლება, რომ იგი თავის თავზე იღებს მთლიან დანახარჯს დაზღვევაზე.

1995 წელს საფრანგეთში მეცენატობას დაეთმო 200 მლნ დოლარი, რაც 1994 წელთან შედარებით 40 მლნ-ით მეტია. ყველაზე დიდი სპონსორები არიან ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები - "კრედი მიუჩელი" (7 მლნ დოლარი), "კეს დ'ეპარნ" (7 მლნ დოლარი), "კესს დე დეპო ე კონსინიასინი" (6,02 მლნ დოლარი). მათ მიჰყვება კომპანიები "კარტიე", "ელექტროსითი დე ფრანს", "ფრანს ტელეკომი", "კოკა-კოლა ფრანს"-ი, რამდენიმე სადაზღვევო ფირმა და, აგრეთვე, მწერალთა და კომპოზიტორთა საზოგადოება.

დიდი ექსპოზიციები, რომლებიც პუბლიკის ფართო ინტერესს იწვევს, როგორც წესი, ხელს უწყობს მხატვრის ნაწარმოების ფასის აწევას. ეს, რასაკვირველია, ეხება პიკასოსაც. მისი ყველაზე ძვირი სურათია ავტოპორტრეტი "მე, პიკასო", რომელიც 1989 წელს 56 მლნ დოლარად გაიყიდა.

და სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ გამოფენის დახურვის შემდეგ 1997 წლის იანვრის შუა რიცხვებში ორი უდიდესი სააუქციონო ფირმა "კრიტის"-ი და "სოტბის"-ი აპირებენ გასაყიდად გამოფინონ დიდი მხატვრის მიერ შესრულებული რამდენიმე პორტრეტი. ერთ-ერთი მათგანი, რომელზეც ასახულია მისი ცხოვრების თანამგზავრი მარი-ტერეზ ვალტერი, ამჟამად "გრან პალე"-ში არის გამოფენილი. მისი მიახლოებითი ფასია 2,5-3,5 მლნ დოლარი. მაგრამ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მეტრის ტილოებით ვაჭრობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ბაზარზე ფასი არ დაეცეს. პიკასოს გარდაცვალების (1975 წ.) შემდეგ მისი მემკვიდრეობა - 50 ათასი ნამუშევარი (1085 სურათი, 1228 ქანდაკება, 2800 კერამიკული ნაკეთობა, 12 000 ნახატი და ა.შ.) შეფასებული იყო 260 მლნ დოლარად. უნდა ითქვას, რომ ეს ფასი მეტად შემცირებული იყო ექსპერტთა მიერ - საგადასახადო თვალსაზრისით.

ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

(ᲓᲡᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲰᲘᲠᲔᲗᲘ)

რესპუბლიკა (ვალუტა)	1$	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4150.0	-5	760	0
სომხეთი (დრამი)	438.2	+17.18	79.3	+2.5
ბელორუსია (ბელ.რუბ.)	15100.0	+100	2750	0
საქართველო (ლარი)	1.275	+0.005	0.225	0
ყაზახეთი (თენგე)	69.85	+0.35	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	15.72	+0.32	2.8707	+0.0466
ლატვია (ლატი)	0.550	-0.004	0.104	+0.0025
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7295	-0.0043
მოლდოვა (ლეი)	4.66	+0.048	0.847	+0.003
რუსეთი (რუბლი)	5481.0	+25	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.)	301.0	0	56.0	0
თურქმენეთი (მანათი)	4045.0	-5	738.95	-4.03
უკრაინა (გრივნა)	1.87	+0.006	0.341	+0.009
უზბეკეთი (სუმი)	48.1	+4.6	8.79	+0.8
ესტონეთი (კრონა)	12.0484	-0.044	-	-

ᲛᲫᲐᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 იაპ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგული ფრანკი	5.0965	8.5023	4.0001	4.55752	3.3563	3.3786	-
გერმანული მარკა	1.5085	2.5166	1.1840	1.3542	0.9934	-	0.2959
იტალიური ლირა	1518.5	2533.2	1191.8	1363.2	-	1006.6	297.95
იაპონური იენა	111.40	185.83	87.430	-	73.359	73.845	21.857
შვეიცარ. ფრანკი	1.2741	2.1255	-	1.1438	0.8391	0.8446	0.2499
ინგლისური გირვ.	0.5994	-	0.4704	0.5381	0.3948	0.3973	0.1176
აშშ დოლარი	-	1.6682	0.7848	0.8977	0.6585	0.6629	0.1962

ნიჭი და შრომა მეტად ძვირი ღირს

როგორც ჩვენი გაზეთის ამასწინანდელ ნომერში ვიუწყებოდით, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავტომრბოლი მიხეილ შუმახერი ახლა შვებულებაშია და მეუღლესთან ერთად ისვენებს შვეიცარიაში, სადაც საუკეთესო ვილას ფლობს. შუმახერების წყვილი ამ დღეებში პირმშოს ელოდება და თითქოს მთელი ყურადღება აქეთკენ აქვთ გადატანილი, მაგრამ მიხეილი არც საქმეს ივიწყებს.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ პილოტი გულზხელდაკრეფილი არ ზის. როგორც უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, ხელი მოეწერა კონტრაქტს, რომლის თანახმად შუმახერი იტალიის საავტომობილო კლუბის "ფერარის" ღირსებას ამ საუკუნის ბოლომდე დაიცავს. მიღწეული შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ "წვრილმანები" მაინც გახმაურდა - შუმახერის "ფასმა" სულ ცოტა 5 მილიონით აიწია. ესე იგი 30 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ეს თანხა მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან სეზონის დამთავრებისთანავე "ფიატის" პრეზიდენტმა და იმავდროულად "ფერარის" გუნდის ფაქტიურმა მფლობელმა ჯოვანი ანიელიმ თქვა, რომ, თუ შუმახერი კვლავ მის გუნდში იასპარეზებს, მაშინ საზღაურად შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი თანხა, რომელსაც ფირმა უყოყმანოდ გადაუხდის. მისი თქმით, "შუმახერი ის სპორტსმენია, რომელმაც იცის არა მარტო როგორ ითანამშრომლოს გუნდთან, არამედ ისიც, თუ როგორ იმუშაოს გუნდისათვის". ასე რომ, შუმახერისთვის მისაცემი ჰონორარი მაინცდამაინც ზღაპრული არ არის - ნიჭი და შრომა მეტად ძვირი ღირს.

უცხოელ ფეხბურთელებს იწვევენ... ბრაზილიელები

"კორინტიანსის" საკლუბო გუნდთან კონტრაქტს ხელი მოაწერა და კლუბის წევრებთან ერთად ვარჯიშობას შეუდგა სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი უილიამ მარკ ფრანკი (მარცხენა ფოტოზე). ის იქნება პირველი სამხრეთაფრიკელი, რომელიც ფეხბურთის ქვეყანაში იასპარეზებს. ფრანკი 30 წლისაა და ოსტატობასთან ერთად ცნობილია იმითაც, რომ არის სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის ნელსონ მანდელას კარგი მეგობარი.

სარეკორდო წელი

გერმანიის ფელაზე მდიდარმა გუნდმა მიუნხენის "ბავარიამ" წელს მორიგი ეროვნული რეკორდი დაამყარა - მისმა საქმიანმა მიმოქცევამ 147,3 მილიონი მარკა შეადგინა, რაც 23,4 მილიონით მეტია გასული წლის შედეგებთან შედარებით. ამასთან, კლუბის პრეზიდენტის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ფრანც ბეკენბაუერის განცხადებით, გუნდის წმინდა მოგებამ 6,1 მილიონ მარკას მიაღწია.

ჩიტი ბდღვნად ღირს

რაგბიში 1999 წლის მსოფლიო თასის ფინალს უელსი უმასპინძლებს. თითოეული მონაწილე გუნდი აქ მიიღებს 600 ათას დოლარს. ასე რომ, ქართველ რაგბისტებს დიდი მონდომება მართებთ. ჩიტი ბდღვნად ღირს.

სპონსორი შეიცვალა

მოსკოვის "ლოკომოტივის" გუნდმა გაწყვიტა კონტრაქტი ფირმა "სამსუნგთან". მიზეზი - ღღეისათვის საკმაოდ "პროზაული". ხელშეკრულების უკეთესი პირობები წამოაყენა რუსულ-გერმანულმა ფირმამ "ტრანს რეილმა", რომელიც სარკინიგზო გადაზიდვებით არის დაინტერესებული. გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ახალი სპონსორი თავისი საქმიანობით ახლოს არის რკინიგზელთა გუნდთან, მაგრამ, როგორც ეტყობა, მთავარი მაინც "ტრანს რეილის" მიერ გაღებული თანხებია, რომლის ღეტალებს "ლოკომოტივის" მესვეურები საგულდაგულოდ ინახავენ.

სპორტული კალეიდოსკოპი

რუსეთი "Reebok"-ს დაემუქვიდობა

სულ მალე ფეხბურთში რუსეთის ნაკრების სპორტსმენთა მაისურებზე გამოჩნდება ცნობილი ფირმა "Nike"-ის სიმბოლიკა. სპონსორობაზე ხელშეკრულებას ხელი მოეწერა მოსკოვში რუსეთის საფეხბურთო კავშირთან.

კონტრაქტი ძალაში შედის 1997 წლის 1 იანვრიდან და დამთავრდება 2000 წლის 31 დეკემბერს.

"Nike international"-ის ვიცეპრეზიდენტის ანდერს ჰანსენის თქმით, კომპანიას, რომლის საქონელბრუნვამ გასულ წელს 8 მილიარდი დოლარი შეადგინა, ალმოსავლეთ ევროპაში ასეთი დიდი მოცულობის გარიგება ჯერ არ დაუდვია.

მხარეებმა უარი თქვეს შეთანხმების ფინანსური მხარეების დაზუსტებაზე, მაგრამ რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის თქმით, რუსული ფეხბურთისათვის Nike-თან ურთიერთობა გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე "Reebok"-თან. "ჩვენს 20 გვერდიან დოკუმენტში ჩამოვაყალიბეთ ყველა პირობა, რომელიც მომავალში სადავო საკითხების წარმოშობას გამორიცხავს. გარდა ამისა, წარმატებული გამოსვლების შემთხვევაში ნაკრების სპორტსმენები გაცილებით მეტ ანაზღაურებას მიიღებენ, ვიდრე მათ "Reebok"-ი აძლევდათ" - განაცხადა ვ. კოლოსკოვმა.

სპორტში "Nike"-ის ექსპანსია დაიწყო მძლეოსნობით, კალათბურთითა და ჩოგბურთით. 1994 წლიდან იგი საფეხბურთო სამყაროშიც შეიჭრა. მაგალითად, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელები სწორედ "Nike"-ის ბუცებით გამოდიოდნენ.

კროსვორდი



თარაგულად: 5. სუდანის დედაქალაქი. 6. უპატრონოდ მიგდებული, გავერანებული (ადგილ-მამული, სახლ-კარი). 8. უმდაბლესი მრავალუჯრედიანი ზღვის-ცხოველი. 9. ეკლიანი ველური ბუჩქი; ისხამს თეორ ან მოვარდისფრო ყვავილს. 10. მდინარე რუსეთში. 14. ეკლესიაში ამაღლებული ადგილი (აღსავლის კარის წინ), საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ. 15. თეორი ბოჭკოვანი მინერალი, სამშენებლო მასალა. 16. ზომის ზუსტი ნიმუში, რომლითაც მოწმდება ხმარებაში არსებული საზომი ხელსაწყო იარაღი. 17. რისამე მოპოვებისაკენ სწრაფვა, რაიმეზე თავის უფლების გამოცხადება. 18. მრავალწლოვან მცენარეთა წარმომადგენელი ტუჩოსანთა ოჯახიდან, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მენთოლს. 20. გვამი, ცხედარი. 22. ფოლადის ნაჭერი, რომლითაც ტალზე (კაუზე) ჩამოკვრით ციცხლს აჩენენ. 26. ძაბრისებრი ჩაღრმავება ვულკანის თავზე. 27. მათემატიკაში - დებულება, რომლის მართებულობა მტკიცდება აქსიომებით ან უკვე დამტკიცებულ დებულებებზე დაყრდნობით. 30. ქოხის, საბძლისა და მისთ. ზედსარტყელი, კოჭი, გადებული კედლების შესაკრავად (კახეთში). 32. ყოფაქცევის ნორმების ერთობლიობა; გარკვეული საზოგადოებრივი წრის მორალი, ზნეობა. 33. კარგად მოსიარულე ცხენი, თოხარიკი. 34. ერთგვარი დანიშნულების საგანთა კომპლექტი. 39. ყვავილების (ან დეკორატიული) ვაზა. 40. საგნის ფორმის მიხედვით შეკერილი ქსოვილის (ტყავისა და ან მისთ.) ჩამოსაცმელი - გაფუჭებისაგან (გაჭუჭყიანებისაგან) დასაცავად. 42. ცხენის (ხარის) ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი. 43. ფოთლოვანი ხე არყისებრთა ოჯახისა; აქვს ნაცრისფერი ქერქი, დაკბილული ფოთლები. 44. ავსტრიელი მეცნიერი, ფსიქიანალიზის ფუძემდებელი. 45. ძვირფასი ძნელდნობადი ლითონი მონაცრისფრო-თეთრი ფერისა. 46. განცხადება იმის შესახებ, რომ წარმოდგენის, კონცერტის ყველა ბილეთი გაყიდულია. 47.პატარა ძუძუმწოვარა ცხოველი მწერიჭამიების რიგისა; აქვს წაგრძელებული დინგიანი ოავი და კანით დაფარული თვალები; ცხოვრობს მიწაში.

შვეულად: 1. ქიმიური ელემენტი, ნაცრისფერი ძნელადდნობადი ლითონი. 2. ამყოლი, ავანჩავანი, თანამესუფრე. 3. მაგარი კრისტალური ქანი, ძვირფასი საშენი მასალა. 4. ახალთახალი, უხმარი (მაგ.: ქალალდის ფული). 6. თბილი ქვეყნების ხე; აქვს მაღალი, დაუტოტავი ღერო და წვერზე ჯგუფად შეკრებილი მარადმწვანე მარაოსებრი ან ფრთისებრი ფოთლები. 7. საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე; აქვს წვრილი ყვავილები, ფრთიანი ნაყოფი, კარგი ღირსების მაგარი მერქანი. 11. ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ადამიანის სახესა და ტანს წელს ზევით. 12. რომან "ამაოების ბაზრის" ავტორი. 13. ზედა ტუჩსზემოთ ამოსული თმა მამაკაცის სახეზე. 18. ტიტანი, რომელმაც ოლიმპოდან მოიტაცა ცეცხლი. 19. ორგანიზმის მგრძნობელობა ამა თუ იმ ნივთიერების მიმართ. 20. კლდის თხა, ჟურციკი. 21. სხეულის თვისება, შეინარჩუნოს მოსვენებითი მდგომარეობა ან მოძრაობა, სანამ გარეშე ძალა ამ მდგომარეობიდან არ გამოიყვანს. 22. წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ. 23. მოლოდინი, რწმენა, რომ რაიმე სურვილი, მიზანი განუხორციელდებათ. 24. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი, ტოტი. 25. დიდი ჩაქუჩი. 28. სწორი ხაზი, რომელიც აერთებს წრეხაზის ან სფეროს ზედაპირის რომელიმე წერტილს ცენტრთან. 29. ციტრუსოვანი მარადმწვანე ხე; ისხამს ოვალურ, წვნიან, მჟავე ნაყოფს, აქვს ყვითელი სურნელოვანი ქერქი. 31. სასულე მუსიკალური საკრავი; აქვს მისების სისტემა, რომელშიც ჰაერი საბერვლებით იჭირხნება. 35. მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმი (ან სამხედრო გემი, თვითმფრინავი), რომელიც თვალყურს ადევნებს წესრიგს, უშიშროებას გარკვეულ რაიონში. 36. რისამე შემორტყმით ან მტვრევით (აგრეთვე წვით) გამოწვეული მკვეთრი ხმა. 37. სასახლის ბინის ნაწილი, სვეტზე დადგმული და გუმბათით გადახურული. 38. ძლიერი, გამანადგურებელი ქარი, ქარიშხალი. 40. თავზე შემოსახვევი საბურველი მამაკაცისა მუსლიმანურ ქვეყნებში. 41. ქალაქი დიდ ბრიტანეთში, იორკშირის საგრაფოში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაგულად: 1. გასტროენტეროლოგია; 10. კორპი; 11. ისანი; 13. იმირი; 15. ია; 17. ტირანია; 19. პი; 20. პორშე; 21. ტოკიო; 22. სანაცია; 25. კიო; 26. კია; 29. ინერცია; 31. ლანდი; 32. წალკა; 33. საბერიო; 35. ტეხასი; 36. ნიანგი; 37. ბარონსი; 38. პიმა; 39. ხოია; 41. იაო; 42. იკი.

შვეულად: 1. გლოსიტი; 2. სირჩა; 3. რანგი; 4. ეტიკეტი; 5. ტამპონადა; 6. რუნიანი; 7. ლორდი; 8. გუნდი; 9. ართრიტი; 12. ნიორი; 14. მანკი; 16. აპკი; 17. ტესტი; 18. ატაკა; 19. პონი; 23. ნომბერი; 24. ციცერონი; 25. კალატოზი; 27. ანაბიოზი; 28. იდეალი; 30. ბარათი; 33. სიბაი; 34. ონისე; 38. პო; 40. აი.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემომქმედებითი კოლექტივი. „შესაკუთრე“ რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერი 5/4-909.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შეშოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.96.

დილაობანა
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში“ მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო
კოლეგია